

# ლიტერატურული გაზეთი

№ 9 4 - 17 სექტემბერი 2009

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 50 თეთრი

პროზა

აკა  
მორჩილაძე

II-III

პოეზია

გივი  
ალხაიჭავიძე

IV-V

ჩვენებები

ემზარ  
კვიციანიშვილი

VI-VII

მსმ


ვანტანა  
ჯავახიანი

VIII-IX

ინტერვიუ

თაონა  
დოღენჯაშვილი

XIII





როგორ გავაყარა  
ლაზა ჩემი მისიას

შპშპ დიდი ხანია, მაგრა ველარ ვიტან ტოტალიზატორის სუნს.

სუნს კი არა სუნებს, და ბევრი ადამიანები მარბაზებს იმ პონტში, რომ მალიზიანებს. ისედაც ჰაერი არ არი და თან ბევრი როა, ყველას თავისი სუნი აქ, და ერთ-ათ ეგ სუნები არი იმ გაუნიაველებში ძაან ბევრი და ერთი მურტალი სუნია.

ვერ ნიავდება. ვერ ერვა კონდიციონერები, თუ ძაან მაგარი არ არი. პროსტო ატრიალებს და სიგრილვა. თან ზაფხულში და ზამთარში? არ ვიცი. ან ვერ გრძობენ, ან არ ფიქრობენ, როგორი სუნია ხოლმე.

მე ვგრევე ვთქვი, რომ გაჩუკას ეგ ამბავი სუნმა დამართა, ჰაერი არ იყო და ველარ ამოისუნთქა. ტვინში სისხლი ველარ მიენოდა.

აბა, რომელ ტოტალიზატორში არი, რომ რალაცნაირი თავისი სუნი არ დგას. ფანჯრები კიდე ტოტალიზატორში აბა საიდან, ძმაო. როგორც ციხეში, თუ დაინახავენ, რომ ფანჯარა არი, იმასაც ამოქოლავენ. საცა სალაროა, იქ ზედმეტი ფანჯარა ვის რათ უნდა. თან, თუ სახელიანი ტოტალიზატორია, სადაც აბაროტი არი სალიდნი. ააბა, რა. სერიოზულია. გინდა ფანჯრები? რათ გინდა.

ჩავედი საღამოს სათამაშოში. სათამაშოს ვეძახი ტოტალიზატორს. მე თითონ მოუფიქრე და მერე სხვებსაც მოეწონათ, თანდათან ეძახიან და მერე კიდე ვერავინ ვერ იფიქრებს, ვინ დაარქვია.

არ მომწონს ტოტალიზატორი. სახელი გრძელია. სათამაშო ჯობია. ორი წუთის ჩასული არ ვიყავი და ვაი, ვუი, გაჩუკა ნაიქცა და გული აქ ცუდად, გული აქ ცუდად... პირველი, მეთქი, რამე ხო არ გაიკეთა, სუნია ისეთი, რომ კაიცი გაიკეთო, ვერ ისუნთქავ და მეთქი, მიაპარებს. არაო. მეც გამიკვირდა, არ გამიგია, რომ გაჩუკა იკეთებდეს. პატიოსანი ბიჭია, პატარა ქვითრები უყვარს, გადააბამს და ელოდება ლარში რომ ცხოვრება გამოიკვალოს.

ვერ უყურებ, არ შემოილია. ეს ამდენი ხალხიც დაეხვია, დაანვინეს მაგიდაზე. სასწრაფო გამოიძახეთ მეთქი და მოეცალეთ, ჰაერი ისედაც არ არი. ვერ უყურებ. თან განითლდა. აბა, ურტყამენ ლოყებში, აბა, წყლის დასხმა.

რა წყალი, მალხაზა არი იქ ერთი, იმან პირში უტაცა ხელი, ენა არ ჩაეყლაპოსო და უჭირავს, ძლივს უღებენ ამ პირს, კაცი გადაყირავდა.

იმ მალხაზამ გადაარჩინა ეგ, რომ გითხრა. მალხაზამ და ვაჟელი როა მალალი, ის საფეთქლებს უზილავდა.

თვალი ვერ გავახელიეთ. ვერ უყურებ, არა და არ შემოილია, რომ თუ იქ ვარ, არ უყურო.

თან ხო ტოტალიზატორია, ვინ შემოდის ვინ გადის. ფორტოკების გოგოები ხო ვერ გამოვლენ და იქიდან იძახიან, ასე ქენით, ისე ქენით. იმთაც შეეცოდა. მარა ვერ გამოდიან. ხო ჩაკეტილები არიან ფორტოკებში. ფირმაში არ ყოფილა ფორტოკა, პირდაპირ არი. ჩვენთან ჩაკეტილებია. გაჩუკა, რომ შეხედავ, გევასება, წესიერი ბიჭია, კაი ლაპარაკი იცის. საყვარელი, წესიერი ბიჭია. ფორტოკის გოგოებსაც შეეცოდათ. ხო იცნობენ.

მეთქი, რამდენი წლის არი. ოცდაშვიდი წლის არიო, გვეგვე მეუნება. ბავშვია. ცამეტი წლით ვარ დიდი. პას-

აკა მორჩილადე

ლეგენდარული ქვერას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება



პორტში თორმეტი. პასპორტში ხო შეეშალათ და იმის მერე რამდენი პასპორტიც არ მომცეს, პირდაპირ გადააქეთ. ამიტო, ცოტა ბებური ვარ, მარა ეგ ნიჩივო.

მაგის ძმაკაცი მოვიდა, ეხლა იმან ჩაუყო პირში ხელი, ენა უჭირავთ, ეძახიან, გაჩუკ, გაჩუკ, ურტყამენ, არაფერი: თავს აქნევს. გესმის, გაჩუკ, გესმის? ინფარქტი აქო. რა ინფარქტი ბიჭო, ბავშვია. არაო, სტოპრაცენტი ინფარქტიაო, ძმაკაცმა, ნანერვიულებიაო, მე ხო ვიციო. ამ დროს მეორე ძმაკაციც მოვიდა. შუსტრა მოვიდენ, სასწრაფოზე წინ. ძმაკაცობაც ეგ არი, ექიმმა როგორ უნდა მოგასწროს.

ლამის მე ავიკიდე ინფარქტი იმის შემხედავმა, ნერვოზები მომივიდა. გამოვედი გარეთ.

გარეთ არ ჩანს ტოტალიზატორში რა არი, ოცდაშვიდი წლის ბიჭი რომ კვდება, ვაბზე ვერ ხედებიან. თან ტოტალიზატორის ვიტრინები ხო სულ შავათ შეღებილია, შიგნით რომ არ გამოჩნდეს.

მეთქი, მოვწევი. ჰაერზე.

ისედაც სიცხება. ზაფხული რომ მოდის, მაგარი სიცხეებია და ვერ ქაჩავს, შიგნით როა გამაგრებლები. ვერც სუნი მიაქ და ვერც აგრილებს. ვერ ერევა ბევრ ხალხს.

იქ როცა ეწევი, ვაბზე ძნელია. თან ხო ვერ ვეწევი, ნერვოზები მაქაკიდებული და ყველა სიგარეტი მეჯავრება, პაჩით ვერ ვიდეფ ჯიბეში. პაჩკას რომ ვხედავ, ვხვდები რომ მეჯავრება იმენო ეგ სიგარეტი. ღერებს რომ ვიდეფ, ვითომ არ მახსენდება რომელი სიგარეტი მაქ. ყველა მეჯავრება. მოწევას რომ ვინყევ, უკვე მეჯავრება, ერთი ორი ნაპასი და გადავაგდეფ. სულ ქიმიის გემო აქ. შიგნით რომ არ ნიავდება, სიგარეტის სუნიც გარეული აქ. იმდენი სუნებია, იმას რომ დაუწყო დაკვირვება, ვაბზე მოკვდება.

რო ვეწევი და მოვიდა სასწრაფო. მეთქი, აქეთ, აქეთ, და რომ შევიყვანე ეს სასწრაფოს ქალები, რაც მე ვთქვი, იმას არ ამბობს, მეეცალეთ, ჰაერი მიეციო?

მე უთხარი, არ არი აქ ჰაერი, ვერ ხედავ, ფანჯრებიც შავათ არი შეღებილი, რომ გინდოდეს გარეთ ჰაერის დანახვა, მაინც

ვერ დაინახებთქო. წნევა გაუზომეს, რალაცეები, ნემსი, და ნასაყვანიაო. გული არ არიო. თავიაო და არ ვიციოთ, სისხლი ხო არ ჩაექცაო.

მე უთხარი, სისხლი როგორ ჩაექცა ოცდაშვიდი წლის ბიჭია, არ კაიფობს და არაფერი, იმ ექიმმა გოგომ თქვა, გული არ არიო, იმიტო, რომ ვგრევე კარდიოგრაფა გადაუღეს და რალაცა ნემსი გაუკეთეს, რაზეც, საწყალმა გაჩუკამ დიორგანიე მისცა. ხო იცი, კინოებში როა, ზუსტათ ისე. რომ ეკითხებოდენ, გაჩუკ, გესმის ჩვენიო, რალაცა თქვა, იმ პონტში რომ ხმა მონავდინა, თორე სიტყვა კი არ თქვა. ხოდა ეგ უფრო აპასნიაო, იმიტო, რომ გაჩუკა საწყალი ამ მაგიდებზე განწვნილი და ხან ხელებს გაიქნედა, ხან ფეხებს, ისე რომ ფეხებზე მთელი გულმუცლით ფისტონა აწვა, ფეხები კიდე ცალკე ერთს ეჭირა, ერთი ვზროსლი მოდის ხოლმე, ქვითრისტი. ხელებს კიდე ცალკეცალკე უჭერდენ. მე კი დაუჭირდი მარა, აღარ შემოილია ეგეთი რამეები, ახლოს ვერ მივიღივარ, ვიგრუხები უბედურებისგან.

ეს ხელების გაქნევა კრუნჩხვის პონტი იყო და გადასაყვანიაო, იმ ქალებმა თქვეს. მე პანაშვიდებზე ვიგრუხები და ეხლა კიდე ცოცხალი, მაგიდებზე დაწვნილი, სუფთა ტრუპი იყო. ტრუპი რა, მიცვალებული.

ვერე წარმოვიდგინე. წარმოვიდგინე კი არა, წარმომეგინა. ვითომ გაჩუკა მიცვალებული იყო და ხელებს მაინც ამოძრავებდა რალაცნაირად. გადასაყვანიაო, და მაგისებსაც დაურეკეთო ექიმებმა. უნდა დაერეკათ, რომ დაიბრიდოს კაცი შინაურების გარეშე, ატიფიჩი ხარ? შინაურის თვალწინ რომ იბრიდება, მაინც ის არი, რომ ხედავს, რა და როგორ და თუ სათქმელი არ არი, პრეტენზიის ამბავში, ველარაფერს ამბობს. თუ არა და ექიმებს აბრალებს. გაჩუკა ეგეთი ბიჭი არ იყო, რომ ეგეთი შინაურები ყოლოდა, მარა ხო უნდა გააგებო, კაცის ენა ნახევარი საათია სხვას უჭირავს თითებით, მალხაზა როა.

ამ ექიმებმა კი გაუკეთეს ნემსები და ნასილკაც შემოიტანეს, მარა, მე მაინც მალხაზას და მალალი როა, ვაჟელი, კვარტლელი, იმის გადაარჩენილი გონია.

ძმაკაცებიც მიყვებიან, მარა მაგრა ცუდათ გავხდი, საწყალი გაჩუკა ნასილკებზე რომ გადაწვინეს. მაგრა ცუდათ გავხდი, რომ წარმოვიდგინე, რომ მეც ვგრე გადაწვინონ ნასილკებზე და ქუჩაში, იმდენ ხალხში, სანამ მანქანამდე მივიყვანენ ნასილკით გადებილებულს და ვისაც არ ეზარება, ესე, ზემოდან რომ გიყურებს და სისულელეებს რომ იძახიან: უი, რა ახალგაზდა ბიჭია. რა მოუვიდა, შვილო? და რომ უნდა უთხრა გული, ქალბატონო, ვილაცა კიდე იტყვის, ისე რომ ნამყვანებმა ვერ გაიგონ: გული კი არა, გაიკეთებდა რამეს. გულს ამბობენ ყველაფერზე. რომ გაიგებ, ხო უნდა მიუტრიალდე და უთხრა: შეცუდო კაცო, რასაც ამბობ, ამბობ, სხვის გასაგონათ როგორ ამბობ, თუ ძალი მოისმენს, ბოზი არ გამოდიხარ? მარა, მე აღარ შემოილია ეგეთი როუები და ვგრევე ხმამალა ვეუნი ვინც არიან. დარტყმამდე აღარ მიდის. ხო ხვდები, ისე ვეუნიები, რომ დარტყმამდე აღარ მიდის, მე აღარ ურტყამ და თითონ თუ დამარტყამს, იცის რომ საშვილიშვილოთ ნაგებულია.

ხოდა, მაგიტო არ მინდა, რომ ვგრე ქუჩაში გატანილ ნასილკაზე ვინცე, რომ რალაცეები არ თქვან ჩემზე. სახლში რომ მომივიდეს ეგეთი რალაცა, ნატუკას ვეტყვი, რომ სასწრაფოს უთხრას, უკან ეზოდან მოვიდენ, იქედან ჩაყვანა კიდე ნიჩივო.

გაჩუკა რომ ვიყვანეთ და დანყნარდა ყველაფერი და ახმაურდა. დაბრეცილმა ვახომ, სანამ თქვენ გაჩუკას უვლიდითო, ქვითრები შეუგდია. მაჩვენა, ას დოლარიანი სამი ქვითარი იყო. ეხლა, მე იმ პალაჟინიაში აღარ ვარ, ქვითრები ვავსო, მარა ქვითარს, თუ მაჩვენებ, ჩავხედავ. შენი აზრები მითხარიო, დაბრეცილმა და შევუქე რა ბილეთი, მეთქი სწორათ აზროვნებ, პროსტო თამაში თუ ნავა შენ სწორათ ნააზროვნებულზე... სამივეში ერთი აზრი ქონდა გატარებული, ნიჩივო. იუვენტუსის ნაგება, რაც სწორი იყო, ოლონდ არ ეჯერათ, შედიოდენ ნიჩივოც არა, მოგებზე გრუხავდენ. როგორ უნდა მოეგო ეგეთი თამაში, ანდა რომც მოეგო, ვინ მოაგებებდა. ეხლა იუვენტუსია და საერთოთ ვგრე მიჩნევენ, რომ მსაჯი ყოველთვის იუვენტუსია. სუ პატარაზე მაინც, მარა ეს თამაში ხო მსაჯზე მალალი იყო და თითონ იუვენტუსმა იცოდა, რომ ნააგებდა.

დაბრეცილი ვახოსი ის მომწონს, რომ სწორათ აზროვნებს. არი ხალხი, ვინც მთელი ცხოვრება მახავს, იგებს კიდევაც, და მაინც არასწორათ აზროვნებს. აი, ვგრე ცხოვრებაში, არასწორს რომ მიყვები, როგორც სწორს და რახან ამართლებს, სწორე გონია. არასწორიც ხო გზაა და მიდის, რომ ველარ ხედავს, უსპეხი რომ მოდის. შეილება ვგრე ბოლომდე არასწორში მიყვე და ერთი არ გაგიტეხოს, ისე მთელი ცხოვრება გაყვე და მოკვდე და გეგონოს რომ სწორი იყო.

სათამაშოში ფეხბურთების ყურება არ მინდოდა, მარა მაინც მოვიცადე, იმიტო, რომ იმ ორ ძმაკაცთან ერთათ, ვაჟელიც ნაყვა და მე ვიფიქრე, რომ მობრუნდება, ამბავს ვაგიგეფთქო. მე ხო მობილური არ შემოილია და ზოგჯერ თუ საქმე არ არი, არ დამაქ. როცა საქმე არი, რომ სვიაზე უნდა ვიყო, ნატუკასი მომაქ.

ადრე რომ მოვიდვარ ხოლმე ტოტალიზატორიდან, სუ აღარ ვიცი, იქ ფეხბურთს ვინ უყურებს.

უტელევიზორო ხალხი. საწყალი ხალ-





ბი. იმენიო. აი, მე რო არგენტინის ზნაჩო-კი მიკეთია შავ კურტკაზე, აი, ისეთი ზნაჩოკი უკეთიათ, თავის შავ კურტკაზე, რო საწყალი ხალხია.

ერთი იყო, შვილი ყავდა მოყვანილი, როგორც მე ნინკას რო მაკლონალდში წაეყვანე შაბათს. ზუსტად ეგრე დიდ ტელევიზორზე მოიყვანა უფასოზე. მაგრა მანერვოზებს ეგეთ რამეებზე. ხო ვიცი, რო იმის სილარიზე ჩემი გადასახდელი არ არი, მეც რო ხვალ ეგრე ვიყო, ის ხო ვერც გაიგებს, მარა მე რო დავინახავ, უკვე ვგიჟდები. იმიტო, რო შვილები მყავს და ნატუქას სულ ვეუენები, საწყლებს რო დავინახავ, ის კიდე ამბობს, კაი გაჩერდი, რა კარგათ იზღებინ ჩვენი შვილები. ის პატარა ბიჭი როგორი იყო, იცი, რო დასვა სკამზე, უკვე კაი პონტი იყო და ალბათ მამამისს ერთი საწყალი ქვითარიც ქონდა, ლარიანი, ან ორლარიანი, რომითაც გონია, რო როდისმე ოცდასამ ლარს მოიგებს და ვერასდროს რო ვერ მოიგებს. მარა ჯიბიდან გააძრო ჩხირები როა რო აკნატუნებ და მისცა, ბიჭი კიდე ჭამდა, ახრამუნებდა. მე ვიფიქრე, რო თუ ვაჟელი არ მოვა, ნავალ. ეგებ აღარ მოუვლი ვაჟელი. მარა პონტიაო, მალხაზამ მითხრა, ვაჟელს დაცდილი აქო. როცა სამშაბათია და მანჩესტერი თამაშობს და თან მაზი აქ, ყოველთვის გარეთ უყურებსო. იშვიათი დღე ყოფილა, როდის არი, რო მანჩესტერი სამშაბათობით თამაშობს? რედაკატ ნელინადმი ოთხი მოუნევს. მალხაზაც ელოდებოდა, აინტერესებდა საცოდავი გაჩუკას ამბავი, ამათ კიდე ძველი ფუტბოლები ქონდათ ჩართული და იმდენ ხალხში მარტო ეს საწყალი კაცის ბავში უყურებდა. რა საწყალი ქული ეხურა, იმენა საბრალო. მამამისი ხო ვერასდროს ვერ მოიგებს. პატალოკი არი, ხუთი ლარი მოიგოს ლარში. ზედ ანერია. ეხლა მე რო ამ ბავშვს გავიდე და რამე უყიდო იმ ოცთეთრიანი ჩხირების მაგიერი, ულამაზო იქნებოდა. იმიტო, რო მამამისი ლოხია, მარა თავი იგროკათ მიაჩნია. ალბათ, რას ვიცნობ, შეილება დენიც ჩაჭრილი აქთ, რას ვიცნობ. მარა, მამა ხო არი და ეს ხო ბიჭი არი და მოიყვანა. მე კიდე ეგეთზე უკვე მაგრა აჭრილი ვარ. აი, პროსტო, რო შევხედავ და ეგეთი საცოდაობაა და თან რადაცნაირათ ბავშია, მაგრა მინდა, რო ჩავიხუტო და როგორ ჩაიხუტეფ? ზის, ფეხებს აქანავებს, წინ გადიან გამოდიან, ტელევიზორზე ეფარებიან, პატარაა და იმიტო და მთელ იმხელა სათამაშოში, მარტო ის უყურებს ფუტბოლს.

გარეთ გამოვდი, ისევე სიგარეტის მოსაწევად და მალაზიაში სამი პატარა პლიტები ვიყიდე, ვითომ ჩემი ნინკასთვის მეყიდა, ბავშვებს ვფიცავარ და ჩავიდე ჯიბეში და რო შემოვდი, მოუგეჯი და ვის ბალეშიკობთქო.

ბარსელონასო: მაგარი სწორათ მოაზროვნე კლიენტი იყო. დვიჟენიები ქონდა მაგარი, ბარსელონაში ვისმეთქი და მეუნება, ბავში რას მეუნება შეხედე, როგორი პრადვინუტი ბავში იყო, დეკუ არი გლავნიო, დეკუ და ეტო თუ არი, ბარსელონა არიო. გამეხარდა, რონალდინიო რო არ თქვა. ესეიგი პატარაა, მარა გლუბოკათ უყურებს ფეხბურთს. დღეს ვის ბალეშიკობთქო. დღეს, მანჩესტერსო. ბარსელონას მერე მანჩესტერს ვბალეშიკობო. მაგრა სწორათ მოაზროვნე ბავში იყო. მამამისი იქით დგას. შოკოლადი შეილებათქი შენთვის, ძმაო. კიო და სამივე ერთათ ჩაუდევი, ისე არ შეჭამო მე უთხარი, რო თუ სახ-

ში დაიკო ან ძამიკო გყავს არ გაუნანილო და ერთი გახედა მამამისს და მყავსო, დაიკო მყავსო.

ტოტალიზატორის ხმაური თუ იცი. იცი, როგორია ტოტალიზატორის ხმაური? ხმაური არც არი. რალაცა ხმებია, არც ცუდი და არც კაი, მარა უცებ შეგიშლის მოსმენაში. და ვერ გავიგე, დაიკო თქვა თუ ძამიკო, და შენი ძამიკო რატო არ მოდის, არ უყვარს ფუტბოლითქო? ძამიკო კი არა, დაიკოო. დაიკო ბავშთა სახლშია, რო გაიზღებდა გამოვიყვანთ და ჩემთან და მამაჩემთან იქნებო. ეხლა ვერ უვლითო და მარტო ნიჩივო. სულ გრუზებში ვარ. მარა ჩემი ბრალია. დავიგრუხე ამ ბიჭს რო ველაპარაკებოდი, მეთქი, ფულიც რო მივცე, ვაბზე უარესი არ იყოს და ვეუენები, გინდა, გავმაზოთ, მე უთხარი სნიკერსებზე და ვნახოთ, თუ იცი მავგამეთქი.

არ დაიძახა, მამიო, ფრიდონიო. კაი-ფობ, როგორ დაუძახა უცბათ რალაცანირათ, აფერისტულათ დაუძახა, ფრიდონიო, მიმაზავს ესო და გაუმაზოო? ესო, ბიძიაც არ თქვა. ერთი გრამი საცოდაობა იმას აღარ ეტყობოდა, ფიქრობდა, ვილაცა დავიჭირეო, ჩემ საცოდაობაზე გავასპეკულანტეფო. ეგრე იფიქრა.

მამამისი მოვიდა.

დრასტი ძმაო მეთქი, კაი ბიჭი გყავს სალოლ. მაღობა მითხრა, როგორც არი. სნიკერსებს მიმაზავსო. არაო, ეს ეუნება, ის კიდე მინდაო. მეთქი, ისეც ხო მივეცი, მოგებული კიდე უფრო გაეტკბილება, მარა, უცბათ ჩემ თავზე გამეცინა, აღარ მომინდა ამ ბიჭისთვის რო მომეგებინებია. მერე თამაში იოლი ეგონებოდა. ჯერ ისე დაც იოლი ეგონა, ისე ავარდა, ამ დროს კიდე დაბრეცილმა დამიძახა, ვაჟელი მოვიდაო და მაგას ველოდებოდი, ისე რა მინდოდა იქ.

მეთქი, ვაჟელ, როგორ არი?

კარგათ არიო, დაჟე სახლში წაყვანილეს. ინვეს ერთი ორი სახი დღეო, ტვინში სისხლი არ მივიდა და ნათიშიაო. ნერვიულობის ამბავია, ჩაგრუზულობისო. კაროჩე სასიკვდილო და საინვალიდო პონტი არ არიო. მეთქი, რა ნერვიულობა, თავნები ქონდა თუ რა არი? ოცი წელია თავნებს ვიხდი და ოცი წელია ვენერვიულობ და რა არ მქონია, ქურდებისგანაც მისეხებია ფული, თავანი ისეთი რამეა, ღამე არ მიძინებია იმ ნასესხებზე, მარა მაგას არ ქონდა ეგეთები, არ იყო მაგის იგროკი და მეთქი, რა გრუზებია? ვაჟელმა მითხრა, ქემერ, მერე მოგიყვინო მაგასო, ძმაკაცებმა იბაზრეს იქ რო ვიდევით და მაგრა შემეცოდა. პროსტო ცხოვრება რა არი, მაგას კიდე ბათების თავანში ჩატანა არ ჯობდესო. მაგას ნუ იტყვითქო, უთხარი, ბათებზე და კირუხიანებზე ნუ იტყვი და ისე, მერე მართლა მომიყვი, მაგრა მევალება ეგ გაჩუკა და ეგება გვერდში დადგომაც უნდოდესო. უნდა დაუდგე, პატარა ბიჭია, ცუდი ბიჭი არ არი. იგროკი არ არი, პროსტო ფეხბურთი უყვარს და ცხოვრობს. რატო გვერდში არ უნდა დაუდგე?

მოგიყვინო, ვაჟელმა, და რო შევხედე, ოც წუთში ინყება და იქ ნალდი არ შემეძლო ყურება და ხარაშო, მეთქი, გნახავ, რა უფულოთ ვიყავი და დაბრეცილს ვეუნები, დაბრეცილი ახლობელია, ვეუნები, მოგებული ხარმეთქი დღეს და მაიტა ერთი, უფულოთ ვარ, მაიტა რამე ფული და ასდოლარიანი გამიძრო. ძმა არი დაბრეცილი. ზოგჯერ რო მქონდეს მაინც, ისეც ვე-

ტყვი, გამოაძვრე პაჩკას ქვიდან, როგორც კალდაში. შუტკა მაქ ეგეთი. მეც რამდენჯერ მიმიცია. მაგას კი არ ვითვლი. დაბრეცილს სახლი უყვიდეთ მე და სიმონამ, ისე რო იყო, უსახლოთ ეგ რა დასათვლელია ნორმალური სახლი უყვიდეთ ძეგლის იქით. მქონდა და უყიდე, რო არ მქონოდა, რას უყიდიდი. ხოდა, გამოვედი სათამაშოდან და კი არ ვიცოდი, ეს ასდოლარიანი რათ მინდოდა, ზოგჯერ მომინდება ხოლმე დაბრეცილის შემონება, ხო ვიცი, როდის არი ფულით და როდის არ არი. ეხლა ეს სამი ცალი ბილეთი რო შეავსო, ეგ გართობაა მაგისი. ეგ და როსტოველი მეგრული მაგარ ფულეში არიან. ძაან მაგარში, იმდენი, რო გადამტერებულია ხალხი, გამწარებული ყავთ ხალხი და ვეუნები რო გამოეცალე, გამოდი, ეგ მეგრული ნავა და შენ მოგადგება ხალხი. რათ გინდა, რო გადამტერებული იყოს? კაცს ეგრე არ უნდა მოუგო, რო გადაგემტეროს.

აღრე კი არ ვფიქრობდი, რო ძულხარ, ეხლა ეგეთი პაკალენია წამოვიდა, რო იმენა ძულხარ. თავანს გაბარებს და გეუნება რო მოგკლავ, პროსტო ისე გამამწარე. შენ რა გამამწარე, იგროკია, გეთამაშება და თუ კაი სახელი უნდა, უნდა ჩააბაროს. მე კი არ მქონია ეგეთი, მარა არი უკვე გარშემო. მე ეგეთს არც ვმაზო. მე ხო ჩემი მახეები მაქ. ყველამ იცის. ეგ ქემერას მაზია. ერთმა შესთავაზა გადმელებს და ის გაღმელი იყო იქ ერთი და უთხრა: ეეეე, ქემერას მახებს გეუნება, არ დაურტყა ხელი, თუ ქემერას უჩენიკია, მაინც ისე იქნება ეგ მაზი რო საბოლოოთ ნავებული გამოხვალ.

მართლა ეგრე კი არ არი. მე არ ვაგეფ? როგორ არ ვაგებ, მარა, პროსტო მართლა მაქ იმენიო ჩემი მახეები და რო მიმიხედებინა, მერე იყენებენ. რო იყენებენ, მერე მე უკვე რედაკატ ვიყენეფ. სულ რედაკატ და ვაბზე უცხო თუა. ოლონდ უცხოთან ძან ვერიდები. ჩვენ დროს ისე წამოვიდა. მე სულ არ მინდა იმის ფუფლოობა, ჩემი მოგებული მივილო, მარა იმათ ისე უნდათ გაფუფლოება, რო გაგიჟდები. ოლონდ გაფუფლოვდენ და მერე იმალებოდენ და დაინყონ ვილაცების მოგზავნა, ჩვენში დარჩეს და ასეთები. კი დარჩეს, არა ვარ ეგეთი ბოროტი, მარა ჩვენში რა დარჩეს, ფუფლო როა?

აი, ეგრე არი. არ მიყვარს საქმეებზე ლაპარაკი.

წამოვედი. ეს ასდოლარიანი რათ მინდოდა, მეთქი მივალ, ბუტკაში დავახურდავეფ და ნინკას და მიხიას ვაჩუქებ, პა პიისიატ. თუ ვერ დავახურდავეფ და პირდაპირ ასიანს ნატუქას მივცემ ოჯახის ამბავში კი არა, რო რალაცა თავისებისთვის.

ერთი ბუტკა იყო ღია და იმანაც, დოლარები სულ გავატანეო, მე კიდე ლარებში არ მინდოდა სახში მიტანა, ჩავიდე და თონესთან რო ამოვიარე, თონის პურები ვიყიდე, მეთქი, უკვე ინყება და დავჯდები და საბალეშიკო დღეს არ მაქ, ამ ცხელ პურს და ყველს შეეჭამ. კი ვეღარ ვჭამ რალაცეებს, ნერვოზებს ვიკიდეფ. აი, დაპუსნიმ ეხლა რო ზაფხული მაგრათ მოდის, ბადრიჯნები მძულდება. ზოგჯერ პამიდორებიც. ხორცი ხო ვაბზე, მარა პურს და ყველს იმენა გემრიელათ, თან თონისს პური ცხელი რო არი. ამოვივლი ხოლმე, პასტაიანა

მეძახის, ქემერ, მოდი ორი ცალი ნაილე. თერთმეტის ნახევარი ხდება ღამე და ამოვედი სახში. მიხოს დაყენებული აქ უკვე ტელევიზორი, მე უთხარი, გაემზადე, მანდა ვარ და კუხნაში გავედი, ნატუქაც იქ უყურებს თავის ტელევიზორში. მაგრა მიყვარს ხოლმე სახში რო მოვალ, ნატუქა რო არი კუხნაში. იმენა კუხნას ვამბობ, იმ პონტი კი არა, რო ცოლი აბეზალოკა კუხნაში უნდა იყოს, პროსტო რო ვარემონტებდი, კუხნა ოთახივით გავაკეთე. ეგრე მოვიფიქრეთ და პაჩტი ცხოვროფ.

რო მივედი და აბა, ცხელი პურები და ეგრევე გლეჯვა დავინყე და მაცივარში ვჭამ ყველს, დანით ვჭრი მაცივარშივე, იმიტო, რო გამოვლა მეზარება და დამჯდარი ჭამა, ნატუქამ კიდე იცის და ამბობს, ფსიქოლოგთან უნდა წაგიყვანო. ეგ არი სასაცილო. ერთხელ ხო წამიყვანეს ნატუქამ და გოგობმა, ისეთები ვებაზრე, რო უთქვია, მე თითონ უნდა წავიდე ეხლა ფსიქოლოგთანო. მაგრა ვაცივებდი მერე დაბრეცილს და კიდე ახლობლები იყენენ, ხალხი პირდაღებული მისმენდა ფსიქოლოგზე რო ვყვებოდი და ყველამ თქვა, რო მოვრჩი მანდ ბილანა არი მისაყვანიო, მარა ბილანას იმდენი წელი ვერ უშველეს და ფსიქოლოგი უშველიდა? ხოდაო, ვახომ თქვა, მაგიტოა მისაყვანი, რო საბოლოოთ გააგიჟოს ის ფსიქოლოგიო, რო ეტყვის: ვიჩიმათ-კოკო-პაპარი... აი, კაიფი ეგ იქნებოდა მართლა. ვიჩიმათ-კოკო-პაპარი ჩვენ ხო ვიცით რაც არი. ნახე როგორ მახსოვს, ვიჩიმათ-კოკო-პაპარი... ნატუქამ კიდე იცის, რო თუ ფეხზედგომელა ვჭამ, ესე იგი, ფეხზედგომელა ვჭამ და ესე პრავა, მორჩა. პროსტო არ მეუნება, მოვა და მაცივარში იყურება, რამე ხო არ გინდა? მეკითხება. მე კიდე ვეუნები, სახში ყოფნა მინდა.

ეხლა რო მოვედი და ნატუქას ვეუნები ცოტა ვინერვიულეო, ფეხბურთი რო ინყებდაო და ბიჭი გახდამეთქი სათამაშოში ცუდათ. ნატუქამ კიდე, გოგობმა, მოძღვარი გვინდა რო დავპატიჟოთო, მაგათი მოძღვარია, ხოდა, მე ვიფიქრეო, რო ჩვენეთან ხო არ დავპატიჟოთქო. სადილზე, რა. მარტო ჩვენმა გოგობმა. არც ქმრები და რამეო და მეთქი, დაპატიჟე, ოლონდ მე არ მოვალ, ხო, რახან ქმრები არ იქნებიან. ერთხელ წამყოფია ეგ მღვდელი ჩვენთან, სახლი რო აკურთხა, რემონტის მერე. ქეთურაც მანდ დადის, სადაც ნატუქა. ხოდა, მეთქი დაპატიჟე, აპა, და დაგრეხილის ასდოლარიანი გაუძრე. ნატუქამ კიდე, არაო, ფულს ვაგროვებთო და მაგაზე მივიგრუხე, ჩვენ სახში თუ პატიჟებ, რა ფულს აგროვებთქი, გოგო, დავაი გააკეთე ყველაფერი და თუ ვინმეს რამე უნდა, გააკეთოს, წამცხვარი ან ეგეთი მოიტანოს, ღვინოს კიდე მე მოგიტან და დაჟე ერთი ათი ლიტრა გაატანე, პროსტო მე არ ვიქნები, არ შემილია მოძღვარი და მაგათი დაგრუხევი. ჩვენი ფანჯრიდან ისედაც ჩანს ეკლესია მაგისი, სპალნის ფანჯრიდან. მამა თადეოზი, თუ რა ქვია. სტროგი მამაოა და ვიგრუხები. რო ბაზრობენ ეგეთები, რო შევპასუხო ძერსკათ, არ მინდა. იმიტო ვიგრუხები მაგათ სტროგობაზე.

გაეხარდა ნატუქას ეგ ასი დოლარი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



თვალის გზად გაბირვის

თვალს ხუჭავ და მაინც თვალი გზად გაბირვის, იმ გზისკენ, რომელიც უკან არ ბრუნდება, და ეს მერამდენე დღეა, ვერ იხსენებ ერთი და იგივე დღე რომ მეორდება და შენც რომ არსებობ ვიღაცის ასლივით, რომელიც დედანთან ყოველთვის სწორია, დედანთან სწორია, როგორც ეს მასივი — ნაცრისფერ ყოფითაც არ არღვევს სტანდარტებს, შენ არსად, ის არსად, გრძელდება ზოზინი — ანდანტე... ანდანტე...

ზოგჯერ შენ იღვიძებ დამალულ ქასავით, რომელსაც დროდადრო მზის სხივი პოულობს და როცა ძველებურს ღიღინებ ნასვამი, ხედავ, ცა ივსება ცელოფანის ყვავებით და ნამდვილ ყვავებით და ველარ გაარჩევ ვერც ფრთების სავსავით, ვერც შეფერილობით ნაგავსაყრელიდან აფრენილ შავ ლაქებს... ღია ფანჯრებიდან წყვეტილად მოისმის ტელევიზიების ჯგუფური ლაქლაქი.

შენ ცხოვრობ უჩუმრად კვირების მწყემსივით, თვეების მწყემსივით და წელთაღმრისცხველი დღეების სიმრავლეს ველარსად წაუხვალ და გული — დამალულ ცრემლების ჭურჭელი, ფიქარ ფიქრების თვალებით შეგხედავს, და უცნობ სიტყვების ჩაგესმის ჩურჩული, და ქვიშაქვილი სათქმელის შრიალი. მწარედ ჩაგრჩენია ღიმილი ჩარჩული ჩრჩილივით რომ დაფრენს და სულსაც გიხუთავს, შენ განვლე ის ღამე და გამოაღწიე და ბავშვად მოვლენილ სიხარულს იხუტებ.

ჰო, აქ ჩაივლიან დღეები, კვირები, თვეები, წლები და ჩაივლის ყველა დრო, ჩაივლილებს ჩალაღავ და ჩაეკირები, რომ მერე არავინ აღარ მოგენატროს.

გახედვა საღამოსაკენ

ჩაჰყევი ამ დღესაც საღამომდე, მზის ბოლო სხივამდე, ცელი რომ ირეკლავს და შენ გეშინია გასათიბ ბალახივით, — ამ მზის საათებს რომ ხელახლა ნაჰყევა შენი დრო — საღამოს ჩრდილივით გადახრილი.

დაწერე სილაზე საღამოს სიმღერა, მდინარის ნაპირას იმ დროის კონტური ყოველთვის მიდის და თან მუდამ აქ არი; იგი ხომ ოდესღაც ამ სიტყვებს ამბობდა. არც ენის მოჩლექა, არც თავის კანტური არ უყვარს დინებას, ყოველთვის მიდის და თან მუდამ აქ არი.


და როგორც ის ეტყვის: გადაიხვევება ეგ სული მთებში და გაუჩინარდება. როდემდე, ვინ იცის?

ბალახს შეეკითხე, კიბზე ასვლას რომ ცდილობს გამუდმებით, შინ ვინ ეგულება, ანდა ვის დაეძებს? თვალს თუ აარიდებ და გაუყურებდი გულზე გადაგვილის და გაფიქრებასაც ვერ მოასწრებ: გადაიხვევება ეგ სული ჩიტვივით.

ეს ხომ ის გზა არი, დედის იავნანას გავლით ნატირალთან მისული, რომ არ ენატრება უკან მიბრუნება, არც გზის გაგრძელება და ის აღსავსეა ყოვლად უმიზეზო სისრულით.

ჩაჰყევი ამ დღესაც საღამომდე, მზის ბოლო წვეთამდე და ამოსუნთქვამდე, ვიდრე გაფრენილა... ეგ სული ჩიტია.. შენს წონასწორობას ჩურჩულიც დაარღვევს და შენი ნაბიჯიც, თუმცაღა მჩატეა.

ჩაჰყევი, ჩაჰყევი მზეს ბოლო სიტყვამდე...



გიორგი ალხაზიშვილი

ფსალმუნის მოტივი

რა მშვენიერია, ველის ყვავილებით ზოგჯერ მინა რომ ამოგხედავს, როცა სადღაცადაც მოღწეული ისმის უდარდელი არხალაღი; ვიდრე ქარი არ გადაუვლის, გადაუქროლებს და... აღარ არი.

ქრება ყოველი ეპითეტი და უფრო შეიგრძნობ ნარმავალ დღეების გადახრას ჩრდილივით და შენ არ კითხულობ: რა ხმებია? ყველა მოძრაობას თავის ხმა აქვს და ეს ველ—მინდვრები ვიდრე გახმებიან,

უცნაურ ბგერებს გამოსცემენ ბზუილით, ზუზუნით, დამტვერვით, არავინ იცის, ის სად არის, დასაბამიდან რომ ასხივებს და არ დასრულდება ეს სიცოცხლე, თუმცა უთვალავჯერ ასხივებს.

და ისევ სიმღერა ძველებური — ჰარი—ჰარალე და არხალაღი, ბალახივითაა ეს დღეები, ქარმა დაჰბერა და... აღარ არი.

მარტის ქუჩა №13

ნამოგყვნენ სიტყვები და ფრთებით აგავსეს: და ის, რაც აქ იყო, თურმე აქ არ იყო და რაც აქ არ იყო, ის — ახლაც შენია...

ყველანი ერთად — ნასულები და ნამსვლელები და ისინიც კი ვინც გზაშია და მიმოდინან, გაფანტულები ამ და იმ სოფლად, ზოგჯერ სპირიტულ სეანსებზე იკრიბებიან და სანთლის შუქი, სადაც მთავრდება, იქ ბინდი იწყებს შედედებას.

გრძელდება სულთა გამოხმობა მარტის ქუჩის N13—ში.

ჩვენ აქ ვდგავართ, ამ ქუჩის გასწვრივ, ხეების ნაცვლად, რადგან ისინი, დგომით დაღლილინი სადღაც წავიდნენ ან ერთ ღამეში ვინმემ აჩეხა ან ჯოგივით წინ გაიქცა და ჩვენ დაგვტოვეს ხეების ნაცვლად და ჩვენ ცოცხალ დეკორაციებს ჩაგვესმის როგორ ეძახიან, როგორ უხმობენ მივიწყებისგან გადაღლილ სულებს და სულის მოთქმას არ აცლიან და ფორიაქში აბრუნებენ იმ საბრალოებს.

(: იწყებენ ისინი ხმით ნამოტირებას, ან ნაჩურჩულებას და თუფშთან გამკრთალი ჩრდილივით გაქრება ის რაღაც, რაც უკვე იყო და არ უნდა ისევ აქ რომ იყოს — ისევ ამ ცოცხლებთან:

საკუთარ ბედ—იღბალს რომ დაჰქვითინებენ, ცარიელ სტომაქებს ქარით რომ ივსებენ. ისტერიულია მისი ტონალობა და გადამდება ყოველი ხმოვანი, რომელიც ვიბრირებს მომწუსხავ სიხშირით, და ეპატრონება ამ მოხეტიალე, განწირულ სულს და იმათი ქვითინი მრავალხმიანია და სასონარმკვეთი....

და ქვითინებენ, ქვითინებენ შეუბრალებლად — ყველანი ერთად — ნასულები და ნამსვლელები ცვლიან ადგილებს, ძილ—ღვიძილში ერთად არიან... ისიც ცოცხალი ყოფილა თურმე, სინამდვილეში თუმცა მკვდარია.

მოხველ, შემოგყვა სახლში სიტყვები და ვიღაც დაფრენს შენში და შენგან არ უნდა სადმე და სხვაგან ნასვლა...

გინდა ურჩიო ამ პერსონაჟებს, თავი ანებონ ნუნუნს და კვენსას და სულს ნულარ გამოიხმობენ, ნუ აწუხებენ, მათ ხომ ისედაც არ ეთმობოდათ აქაურობა და ღამლამობით გვეცხადებოდნენ უსენსოდაც, ამ ოთახებმაც ხომ შეიცნეს ჰაერის რხევით თუ მოძრაობით, ვინ იფიქრებდა, რომ ოთახებს ვინმე ახსოვდა?!

ვისია სუნთქვა, რომ არწევს ფარდებს?! არ დამთავრდება ეს თამაში აღარსოდეს და თვალთ მოწყვეტ სანთლების ვარდებს საშინელ ღამის ამაზრზენ კოკრებს, ღამის გულიდან ამოღერილებს, მათ შენთან ერთად წყვილია მოკრეფს.

შენ მიხვდი, ღვინოს რომ აყოლებდი გაღვიძლ ლუკმას, ვიღაც გიმზერდა, მაგრამ გარედან კი არ გხედავდა, შენგანვე იყო გამოხედვა უცნობი თვალის, და თითქოს შენთვის იჯექი უქმად, რომ ნაიმღერე და შენ მიხვდი, რომ შელოცვაა შენი სიმღერა, მათ გასაგონად და იმ სიტყვების გასალევიძებლად, ზოგჯერ ცოცხლებს მხოლოდ ზღვართან რომ ახსენდებათ და მხოლოდ სულს თუ გააგონებ — მარადიულად ძვირფას პუბლიკას, როცა მიუგდებ: “ძილი ნებისა!” სადაც გრძელდება სანახაობა და ანშლაგია შეღამებისას.

შენ ნახვალ სულის მოსაბრუნებლად...

ივნისის სონატა

ჰკითხე იმ დღეებს, აქ ნამყოფებს, შენამდეც იყვნენ და სად წავიდნენ?!

დრო დადგა, რომ მიწვე ბალახზე, რომელიც ხმება და მალე გათივდება, მალე გათავდება, რაც იყო აქამდე თავისთვის — თავისუფლება და ფარული თამაში და თივის უფლება და რომ გათენდება თივისთვის, ისევ დასრულდება ბულვარზე ჩავლა და გულის აჩქროლება, ამოდ გადენდება, მაგრამ გათენდება.

როდემდი უნდა შეადარო, ნეტავ, ეს დილა თავის გემოთი ნაყოფს კენკროვანს, გახსენებისას დაუვინყარ კოცნასავით ტუჩს რომ ეკრობა.

დღეებს შეეკითხე... დრო მასთან ერთად გაილია, ვინც შენთან ერთად გადიოდა, მას სანახევროდ ღია რჩებოდა კარი, და შენ გიყვარდა კარი — იოტა, ნახევარხმოვანს ხომ ეძახდი: ღამის კარეტას... და შენ ხუმრობდი: არ გეგონოთ ის კარი ოტელის, იქ ცხოვრობს... —იუდასავით გამცემია ხანდახან რითმა...

ხეებმა ნასვლა გადაიფიქრეს და ალბათ შემოდგომას დაუცდიან, ფოთოლ—ფოთოლ რომ გაიკრიფონ და ისევ ჩრდილებით იმოდრონ ასფალტზე და სახლის კედლებზე და ოთახებშიც შემოიხედონ, თქვენთან ერთად ღამეების გასათენებლად.

შეაგროვე იგივე სიტყვები,  
შეკრიბე მარცვლებად  
და მერე გემო გაუსინჯე ნაყოფს კენკროვანს,  
ჩამოარიგებ, მაგრამ ყველას როგორ გასწვდები,  
უწილადებდი სხვებსაც, მეტი რომ შეგეგროვა,  
ოთახის ყვავილს მიხედავდი,  
უყვარს ყვავილს წყლის გამოცვლა,  
გამოიცვალა და სიახლემ გაახალისა.  
ხვალინდელი დღე?  
რას გაიგებ?!  
თუ კი დადგება,  
თვითონ იკითხოს ხვალემ ხვალისა.

**თუშური პასტორალი**

ჰყვარდა მდელი და გწვდებოდა წელამდი...  
შენ დროს იზოგავდი, თითქოსდა წელავდი...

ერთმანეთს ვეძებდით, ვაცხებდით, ვთიბავდით,  
ვანწვენდით, ვკონავდით, ვკოცნიდით, ვცელავდით.

ხსოვნაც კი მალეღვებ; მაშინაც ვლელავდი,  
შენ თვალს აკვესებდი და ჩემში ელავდი,  
რად აღარ შემოგვწვდა ბალახი წელამდი,  
ჩვენ, მოსაცელები ერთმანეთს ვცელავდით.

სიტყვები დუმილის და მზის საათების:  
მგონი რაღაც დამრჩა კიდევ გასათიბი.

**ღროის ნიშნები**

... კვალი უძილობის  
და თვალის სიღრმეში  
ბზინავს აკვარელი სიზმრის ფრაგმენტივით...  
იქ, შენი სიშორის სიახლოვეშია  
ჟამი უმიზეზო და ხმაგაკმენდილი...

ყველა მოძრაობა —  
ნაბიჯის გადადგმა,  
მკლავის თუ იდაყვის  
დაყრდნობა რაფაზე,  
იქვე ხომ ტუმბოა  
ბაბუის ნაქონი;

მაშფოთებს შეგრძნება,  
რომ ამოტუმბავენ  
ჟანგბადს ჰაერიდან,  
ყველა მოძრაობა ცდა არი გაქცევის  
აქედან, ამათგან..

ისიც დაიკარგა, ვინც არ გაერიდა  
ამ ადგილს,  
ნაქცეულს ფეხი რომ დამადგა.

ჩავინერ და სიტყვა ცოცხლდება კრავივით,  
მირჩევს ავიკარვო აქედან,  
მისთვის ცნობილია ავტორის ანკეტა:

—სული თუ შთაბერე ისიც საკრავია,  
თანაც საკრალული  
და მღერის, მღერის, მისი პაუზებიც  
სუთქავაა ბგერების და დრო ფარღალა  
საზრდობს ჩვენიტაც — მოარულ ავზებით,  
იმათი ხსოვნითაც, ვინც აქ აღარაა.

**წვიმების სეზონი**

ჰაერი სუნთქავს ხავერდის ვარდით და ოზონით,  
რა ნალვლიანია წვიმების სეზონი...  
რა უმიზეზოა სეზონის ფერები,  
თვალში რომ იშლება..

აქ შენი სახლია და ისევ  
ჭალარა ჭალა ოთახის პატრონი,  
თავისი სინათლით  
და გულში ჩაღვრილი ჩქერალით.

კარი არ იღება, არც «სეზამ, გაიღე»,  
არ შველის დახშულ კარს,  
რომელიც ელოდა მხოლოდ შენ შეხებას  
და ზოგჯერ სიზმარში გისხნიდა ყველა კარს,  
როცა შენ არ იყავ  
და არ გაგივლია გულშიაც აქ მოსვლა  
და როცა მოხვედი,  
საეჭვოდ ხანგრძლივი პაუზის მიწურულს, —  
ის აღარ გაიღო და დარჩი ეზოში, ძველებურ აუზთან,  
იქ, სადაც დარაჯი ნააგავს იაზონს  
და სადაც ჰაერი არი გაჟღენთილი

კოლხური ვარდის და ოზონის სუნთქვით და ნაცნობი  
ცდუნებით  
და იმეორებენ ეს თუთიყუშები,  
რომ უკვე დამდგარა საეჭვო სეზონი  
და ახლაც სურნელი აქეზებს ნესტოებს,  
გკარნახობს პოზას და პაუზას  
სუნთქვა პუაზონის  
და სიღრმე — თბილი და ნესტიანი,  
იქ, სადაც სამალავს ეძებენ დღეები უაზრო,  
როდესაც იხსნება ზონაში ზონარი —  
ნაგუბარს გაზონთან პოულობს გუბურა,  
რომელშიც ადგია ყვითელი გაზეთი  
და გამველ —გამომველს ეძლევა ჯგუფურად.

**გავშვის შაკითხვაში /თითქმის უცვლელად აღდგენილი ვერსია/**

მე რომ გავიზარდები, შენ ხომ ჩაიზარდები?  
სად მიდის კაცი, როცა ველარ ბრუნდება?  
სად იმალება ქარი, როცა აღარ ქრის?  
სად იმალება ცეცხლი, როცა ქრება?  
სად მიდის მუსიკა, როცა აღარ უკრავენ?

\* \* \*

ასე დაბლა რომ დასრილებენ  
და წივიან, მოგეჩვენება —  
ზოგჯერ მერცხლებსაც ახსენდებათ  
შენი ბავშვობა,  
როცა ბუდეებს უნგრევი სანყლებს  
და მერე სიზმრად  
დედა მერცხლის წყველა გესმოდა.

კვირიონები გადაუფრენენ  
მაისის ბალებს  
და მათი — კვრი.. კვრი...  
საკვირაო ლოცვას შეერთვის  
და მოკრიალე ცას აკვირდება  
ათი წლის ბავშვი.

გაყიდეს კრავი  
და მინდორი მოჩანს უკრავო...  
აქ, სადღაც, ახლოს  
მივინყებულ მოტივს უკრავენ,  
გული ცვილივით გიდნება მკერდში,  
ასწლეულები თქვენივე ფერფლით  
ყველა ჭრილობას პირს მოუკრავენ.

\* \* \*

ბედნიერება სადღაც,  
თუნდაც ჩაძირულ გემში —  
დიდხინის წინათ ზღვად რომ იქცა,  
ანდა ზღვის ხსოვნად,  
სულ შორი-ახლოს,  
ზოგჯერ მისი სუნთქვაც რომ გესმის,  
ანდა იმ ხელის განწვდენაზე,  
რომელიც არ გაქვს,  
ანდა არ გყოფნის,

მაგრამ რაც გაქვს, მხოლოდ იმისთვის,  
რომ ჩაიქნიო  
ან პირჯვარი გადაისახო.

\* \* \*

სიჩუმე, შენი სუფლიორი,  
რომ ჩაგჩურჩულებს,  
ხმა გესმის არაამსოფლიური  
და ზოგჯერ ისეთს გამოურევს, ველარც იხსენებ,  
მან ამოაშრო წყალი ლარნაკში,  
გადაფურცელისას თითებს ისველებს.

ზოგჯერ წიგნიდან დაუცურდება  
მკედარი ყვავილი ჰერბარიუმის,  
და თვალს გაახელს შენი წარსული  
სექტემბრის ბალებს შეფარებული  
და ბზუის, ბზუის ნემსიყლაპია  
ამ სიჩუმეზე შეყვარებული.

მოგეჩვენება რომ მდუმარებას  
უბზინავს ფრთები საეჭვო მწერის,  
რომელიც ისე სიფრიფანაა,  
როგორც განწყობა ამ ლექსის მწერის.

ეს გულჩვილობა ინფანტილური  
სიბერისაა ან სიღლაპეა  
და სიჩუმეში ორ ხმაში ბზუით  
შენ და სტუმარი ნემსიყლაპია.

\* \* \*


შენ დღესაც მარხულობ,  
ცხოვრება გამარხულებს.  
ბოლთას სცემ კორპუსთან,  
იქ, სადაც გაზონთან მზიანი გუბა,  
ცალთვალა გუბა და ცალ თვალს აფახულებს.

ახედავ ხეებს:  
ხეებო, ხეებო,  
უჩემოდ ნუ წახვალთ,  
ჩრდილი წამახურეთ.  
თავისი საქმე აქვთ  
ამ დღეებს — ფერადებს,  
ფერად ფანქრებით წამახულებს.

შენ გული, იქითკენ მიგინევს  
და ის გენატრება სულში ჩასახული,  
ვისაც ბალახის ნაბიჯებით  
აქეთკენ მოჰყავდა გაზაფხული.

\* \* \*

როდემდე გენთება თვალში ეგ სინათლე  
გადმოყოლილი მეოცედან?!  
გახსოვს, ოდესღაც, უსმენდი ფრენკ სინატრას  
და ისევ გინდოდა ცოტა ხანს გეოცნება,  
რა გასაკვირია, მაშინდელ ბრექს ინატრებ  
და გოგოს, ფიქრში რომ გეკოცნება.







ვახტანგ ჯავახიძე

# „ირმების დარღები“

## ციკლიდან — „ისევ გალაკტიონი“

ექვსეულობა თენგიზ მირზაშვილის ხსოვნას

I  
სმირად წერდა ცალკეულ ფურცლებზე. ამჯერად ყურადღება — ოცდაათიანი წლების — წითელი მელნითა და შავი ფანქრით ნაწერმა და ნახატმა მიიპყრო.

თაბახის მარცხენა მხარეს ლექსი წამოუნყია და მიუტოვებია, მერე მიჰპრუნებია და დაუსრულებია უსათაურო — „შორს გაფენილო შავი ზღვის ტილო“ — ლირიკული ხილთა ქება.

მარჯვენა ზედა კუთხეში მამაკაცის პროფილი და ანფასი დაუხატავს და ქართულ-რუსული ფრაზებითა და ფაქსიმილებით გადაუხაზავს და შეუფსია.

ქვემოთ გიტარის კონტურები მოუხაზავს და აქაც რამდენიმე ორენოვანი მიუწერია.

ამათ შორის კი — პარალელური ხაზებით გამოყოფილ მართკუთხედში — რვა სიტყვა ჩაუნიშნავს (ორი რუსული ჩარჩოში ჩაუსვამს):

ფიროსმანიშვილს.

განიშლის ფიროსმანიშვილს. განიშლის ფიროსმანიშვილს.

წეა:ბი ი წაი ბ.

გიგიმარჯოს.

როგორც ვხედავთ, ერთხელაც გადასახლებულა ფიროსმანის სამყაროში.

1919 წელს ლექსში პირველმა ახსენა.

1938 წლის 27 მარტს — თბილისის ქუჩებში მოხეტიალე — რიყეზე შემთხვევით ნააწყდა: დაანგრის სახლი, რომელსაც, როგორც ჩანს, დროებით თუ ხანგამოშვებით, თავს აფარებდა თბილისის სარდაფების ღამის ხშირი სტუმარი ფიროსმანი და გალაკტიონმა ამის შესახებ იცოდა და ეს ფაქტი მაშინვე აღწერა დღიურში.

ამჯერად კი — შესაძლებელია, სწორედ რიყიდან მოზრუნებულმა, ანდა — რამდენიმე წლით ადრე — სულაც მადათოვის კუჩუღზე რესტორნის დანგრევის შემდეგ — სათაური და სარიტომო წყვილი მოინიშნა და ლექსი განიზრახა, რაც, სამწუხაროდ, მხოლოდ განზრახვა აღმოჩნდა.

წითელი მელნით წამოწყებული და შავი ფანქრით დასრულებული უსათაურო ხილთა ქება მოგვიანებით ლურჯი მელნით გაასწორა, გააიდუღრა, დაასათაურა, „უცხოელი ბავშვი“ დაარქვა და 1940 წელს მეოთხე ტომში პარიზის ციკლის ლექსებს შორის დაბეჭდა, ჩაფიქრებული რიტმა კი — როგორც მრავალი ასი და ათასი — საკუთარი არქივის ლაბირინთებში — ფიროსმანის მუშაბასავით გაეგნა და დაეკარგა.

### II

„წეა:ბი ი წაი ბ“. ადრე ვივარაუდე: რესტორან „თეთრი პელიკანის“ კედელზე — ფარშავანგებთან ერთად — ფიროსმანმა ირმებიც დახატა, თანაც სევდიანი ირმები, და ეს ფარშავანგები და ირმები — რესტორნის დანგრევის შემდეგ — გალაკტიონის ლექსმა გადაარჩინა.

„თეთრი პელიკანის“ მესამე-მეოთხე სტროფების პირველი ვარიანტი ასე დაინერა:

რომ ისმოდეს საბათნოვას დაუანგული ჰანგები, მიეთოვოს, მოეთოვოს კედლებს ფარშავანგები. რომ ბურუსში მომეზმანოს, კოჭლო საპაკ, ვარდები — ოფორტები ფიროსმანის და ირმების დარღები.

დაბეჭდვისას კი ასე გასწორდა:

რომ ისმოდეს საბათნოვას დაუანგული ჰანგები, მიეთოვოს, მოეთოვოს კედლებს ფარშავანგები. სული ტირის და როს ნანას, კოჭლო საპაკ, ჰპირდები, დაანებე ფიროსმანას სევდიანი ტვირთები.

ირმის კულტი წარმართობის საუკუნეებიდან შემორ-

ჩა ჩვენს ეთნოგრაფიას, ჩვენს არქიტექტურას, ჩვენს ფოლკლორს, ჩვენს პოეზიას. მარტო „ირმის ნახტომის“ მეტაფორა რად ღირს?!

ირემი — ფიროსმანის სავიზიტო ბარათია: წიგნებისა და ალბომების ყდებიდან, აფიშებიდან, სარეკლამო ფურცლებიდან, მოსაწვევი ბარათებიდან გვესალმება, ეროვნულ ვალუტაზეც გამოგვეცხადა და აქაც უპოვართა შორის აღმოჩნდა: მინიმალური ერთლარიანი გაიმეტეს („მისი მზანდა 1-2 მანეთი იყო“, — ერთი მიკიტანიც ადასტურებს).

ირემი და შველი ყველაზე მეტად იმსახურებდა ფიროსმანის ყურადღებას: ჩვენამდე მოღწეულა და დღემდის გადარჩენილ ნახატებში ჯერჯერობით 22 ირემი და 4 შველი ირიცხება (აქედან ორჯერ ორი და ორჯერ სამი ერთადაა წარმოდგენილი). „დაჭრილი ირემიც“ დახატა და „ირემზე ნადირობაც“: სამი თოფმომარჯვებული მონადირე (ერთი — ცხენზე ამხედრებული) და ძალი მისდევს და ღამის დაენოს ორ გაფრენილ ირემს.

სხვათაშორის, გრიგოლ რობაქიძემაც შეამჩნია ფიროსმანის ირმის „უჩვეულო სევდით ავსილი თვალები“ და ისიც აღნიშნა: „მთელი ირემი თითქოს ხტომა თვითონ“ („წეა:ბი ი წაი ბ“).

„წეა:ბი ი წაი ბ.“ და „ქრიან ლურჯა ცხენები“. ეტყობა, რესტორნის ირმებიც ქროდნენ: გავიხსენოთ „ირემზე ნადირობა“ და „დათვზე ნადირობა“.

„წეა:ბი ი წაი ბ.“ — ფიროსმანის ირმებმა მართლაც შორს გაინავარდეს: ლურჯშიც შეაღწიეს და ოკეანეც გადალახეს.

### III

ფიროსმანის ირმების გუნდი უპირატესად წყაროზე ან ნაკადულთან იკლავს წყურვილს და გალაკტიონმაც დახატა ერთხელ ქუთაისში — 1947 წლის 1 სექტემბერს — ნაკადულს დანაფებელი.

### IV

ფიროსმანის ნახატების დასათაურებანი პირობითია. ავტორისეული ცოტაა. უმრავლესობა შვილივით მოუნათლეს მავანმა და მავანმა და ამიტომაც ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს კატალოგებში ირემი და შველი. ისე, კაცმა რომ თქვას, რამ განასხვავა: ირემი ღამაზი არსებაა, შველი — ღამაზზე ღამაზი ირემი.

ალბათ, ვაჟაც დაგვეთხზებოდა.

### V

„გიგიმარჯოს“ — არა კალმისმიერი, არამედ ყალბისმიერი ლაფსუსია.

ფიროსმანი ხშირად ნახატებს წარწერით ასრულებდა, ზოგჯერ — ლექსის სტრიქონებითაც:

— კამპანიას გაუმარჯოს.

— გაუმარჯოს ძმობას, ამხანაგობას.

და, ვინაიდან, გალაკტიონისაგან განსხვავებით, მხოლოდ ნასვამი ხატავდა და ფხიზელი ვერ ხატავდა, მიწანერში ასონიშანი გამოჩნებოდა ხოლმე ან უნებლიე შეცდომა მოსდიოდა:


— გაუმარჯოს პურ მარილიან კაცსა.

— გაუმარჯოს კეთილ ხალხსა.

„გიგიმარჯოს“ — მსგავსი ფუნჯისმიერი შეცდომაა და, როგორც ჩანს, გალაკტიონის ფენომენალურმა მეხსიერებამ სწორედ ამის გამო დაიმახსოვრა იგი და მოგვიანებით გამოაჯავრა კიდევ ნასვამი ნიკალა.

### VI

რობორც ირკვევა, ირმებთან და ფარშავანგებთან ერთად, „თეთრი პელიკანის“ პანოს ვარდებიც ამშვენებდნენ: „ვარდები — ოფორტები ფიროსმანის“ — ამ სიტყვებს შორის ჩასმული ტირე



ექვსის ნატამალსაც არ გვიტოვებს.

ფიროსმანის ბალნარში ყვავილების სიმრავლე არ შეიმჩნევა, ვარდები კი, როგორც მოსალოდნელი იყო, სჭარბობს და ყოველი მათგანი საყურადღებო დეტალია:

1. აქტრისა მარგარიტას მარჯვენა ხელში თეთრი ვარდების თაიგული უჭირავს.


2. ორთაჭალის ორივე ღამაზმანს წყვილ-წყვილი წითელი ვარდი კიდევ უფრო აღამაზებს.

3. რკინიგზელი მიშა მეტყველის პორტრეტი ათი წითელი ჩაისვარდის გვირგვინშია ჩასმული და ჩახატული.

4. სააღდგომო სერობის ცენტრში ბიჭი დგას და მარჯვენა ხელში წითელი და თეთრი ვარდების თაიგული სასმისივით შეუმართავს, მის გვერდით კი მოხუც ასევე მარჯვენა ხელით ხელადა თასივით აუნეგია და ღვინითა და ვარდებით აკურთხებენ სუფრას: „მადლობა ღმერთსა რომა დავესწარით აღდგომა დღესა ქრისტე აღდგა ჭემმარტათ გაუმარჯოს ძმობას ამხანაგობას“, — ეს უკვე ნიკალას სადღეგრძელოს ტექსტია — ყოველგვარი სასვენი ნიშნის გარეშე.

5. ირემი და სამი წითელი ვარდი. ირემი და ვარდები ერთად! იქნებ „თეთრი პელიკანის“ ფსკერიდან გადმოზრდნდნენ? ალბათ ამათი ბადალი და ალიკვალი იხილა პოეტმა?!

1919 წელს „თეთრი პელიკანის“ ჭერქვეშ ჯერ კიდევ „რეკავდა საზანდარი“ და გაისმოდა „საბათნოვას დაუანგული ჰანგები“. მაშინ პოეტი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ეს ფარშავანგები, ირმები და ვარდები განწირული იყვნენ და მალე მისი სტრიქონები დააკვლიანებდნენ მხატვრის მომავალ პატრიოტებს. სხვათაშორის, თითქოს ტანმა უგრძნო: თაბახის ერთ ფურცელზე წერილი შრიფტით ხუთ სვეტად ჩამოწერა „თეთრი პელიკანის“ სწორედ



ნახატი ნიკო ფიროსმანიშვილისა



პირველი ვარიანტის აბსოლუტურად იდენტური ხუთი ავტოგრაფი და, რაც შეიძლება, მეტი დამადასტურებელი ასლი დაგვიტოვა დაინტერესებულ შთამომავლებს.

VII

ვასო ჩაჩანიძის მოგონებებიდან: მეტეხის ხიდის ყურესთან უტრუხუნეს საჩაიე-სამიკიტნოს ერთ კედელზე მაისის ვარდების ჩარჩოში ნიკალამ ხალხური სტრიქონები ჩანერა:

ქარო, ქროლა ვინ გასწავლა,  
შევარდენო, ნადირობა?  
ბრძენო, ვარსკვლავთ მრიცხველობა,  
რუსთაველო, შაირობა?

VIII

ფიროსმანის კედლისა და მინის მხატვრობის ერთი ნიმუში, ერთადერთი ფრაგმენტიც კი ვერ გადაარჩა. მხოლოდ თვითმხილველთა მესხიერებამ შემოინახა ცალკეული ანარეკლები და მისამართები. 1979 წელს დაკარგული ნახატების 57 ერთეული აღრიცხეს და მათ შორის მეთექვსმეტე ნომრად „გალაკტიონის“ „ფარშავანგებიც“ შეიტანეს, მაგრამ არც რესტორანი მიუთითეს და არც წყარო. ამ კატალოგს უნდა მიემატოს „თეთრი პელიკანის“ „ირმები“ და „ვარდები“ (თანაც — არა ერთი ფარშავანგი და არა ერთი ირემი და არა ერთი ვარდი, — იქნებ არა ორი და არა სამიც, ვინ იცის?).

IX

მანინც რამდენი და რამდენი და რამდენი შეენირა მადათოვის რესტორან-სამიკიტნოს? ორი და ორი და სამი და სამი ირემი სახეზეა. ათი ვარდიც უკვე გადავთვალეთ. სხვა ფარშავანგი კი ფიროსმანის პალიტრაში არ ჩანს და მით უფრო იფასებენ თავს გალაკტიონის გადარჩენილები. „მიეთოვოს, მოეთოვოს!“ — ნუთუ თეთრი ფარშავანგებიც არსებობენ? — ნიკალასაგან ყველაფერია მოსალოდნელი და არაფერია გამორიცხული! მაინც რა აურაცხელი შეკითხვები მოგვაყარა? როგორ მოგვეზმანა და როგორ დაგვემალა, როგორ გაგვეპარა, როგორ გაუჩინარდა უახლოესი საუკუნის ბურუსში?!

X

სირაჯმა ნიკო სოზაშვილმა გაიხსენა: — ძალიან უყვარდა ვაჟა-ფშაველა. თვითონაც ნერდა ლექსებს. კაი პოეტი იყო და მე და ჩემს მეუღლესაც გვინახავს მისი ლექსების რვეული. მიკიტანმა ალექსი ჭიჭინაძემ მოიგონა: — ბოლო ხანებში გარეტიანებული დადიოდა. ნახევრად გიჟსა ჰგვანდა. კუთხეში ღვინოზე მჯდარი თავისთავს ელაპარაკებოდა. ამ ლექსს ხშირად იტყობდა:

შენ, ჩემო ძმაო ნიკალა,  
რათ გინდა ნუთისოფელი?  
სახლათ მოგცემ სამოთხესა,  
იქ მოგივა ყველაფერი,  
სახლიკაცათ გეყოლება  
მიქელი და გაბრიელი.

ერთ ნახატს ორი სტრიქონი მიაწერა:

ძმებო, დავლით ღვინო,  
მოვიგონოთ კობტა ნინო.



პაპლო პიკასო. ნიკო ფიროსმანიშვილის პორტრეტი

ერთ-ერთი აბრა — „ნარაფი“ — მარცხნიდან და მარჯვნიდან ორი სტროფით შეავსო: ღვინოს ვინ დაინუნებს, ღვინო ზიარებააო, ზოგჯერ ძალით გვასმევენ, ზოგჯერ გვეამებაო. — კაი, რა გეაფსუსება სავეტი ღვინოთა, მაჰმადიანი არ მოგიგონებს, თუ ფლავი უდგას სინითა.

ამ ექვსმეტანილ სტრიქონებში განსაკუთრებით ერთი ზმნა „გვეაფსუსება“.

XI

„I È DÌ NÌ AÍ È ÈÈÈ Ì DÌ ÀÈÈÈ Ì ÈÁÍ Ý“ — გასტონ ბუაჩიძის ამ საინტერესო წიგნში დანვრისებრი და დაკვირვებითაა განხილული ფიროსმანის ნახატებისა და აბრების ნარწერები, მინანურები და ხელმოწერები და რატომღაც გამოტოვებულია, ჩემი აზრით, მეტად საყურადღებო, ჩვენს მიერ ზემოთმხსენიებული „ნარაფი“: ხუთი პატარა ქვევრი და შვიდი ღვინის პატარა კასრი პირამიდის ორ თანაბარ გვერდს წარმოსახვენ და მათ აერთებს — ბაფთაში ჩასმული — „ნარაფის“ მესამე ჰორიზონტალური გვერდი, სადაც განსაკუთრებით გამოირჩევა ბაფთაზე წამოცმული, ოდნავ წახრილი, პირველი მთავრული ასონიმანი, რომელიც სუფრის თავში წამომართულ ჩოხოსან თამადასაც მოგვაგონებს და მადლა აწეულ რაფინირებულ ყანსაც. იქნებ ეს — ჩვენგან განსაკუთრებით მოწონებული ნარწერა-ნარაფი — ადრე დაბეჭდილი ეტიკეტის ასლად ჩათვალა საფრანგეთიდან ჩამობრძანებულმა რუსული წიგნის ქართველმა ავტორმა?

XI

ფიროსმანს არა მარტო უყვარდა ვაჟა: პირადად შეხვედრია თბილისის ერთ-ერთ კერძო სასტუმროში. — მე წავიკითხე „შვლის ნუკრის ნაამბობი“, ძლიერ მომეწონა და დავხატე კიდეც. მაგრამ მიხუამ წამაშლევინა, სისხლის წითელი წვეთები ჩხუბის გუნებაზე დააყენებო ნასვამ მუშტურებს. ცხადია, „შვლის ნუკრის ნაამბობმა“ შთააგონა „შველი და ნუკრი“, „დაჭრილი ირემი“ და „ირემზე ნადირობა“ და საერთოდ — „ირემების დარდები“. ამდენი სევდიანი ირემები, შვლები და ნუკრები თითქოს და თითქმის ვაჟას მოთხრობის ილუსტრაციებია... ფიროსმანი ნათლიმამამ დაასმინა გიორგი ლეონიძესთან: — ზაფხულში, გაჩაღებული ვაჭრობის დროს, მიმატოვებდა,

ორი ვირის საპალნე ბალახს იყიდდა, აიტანდა დუქნის თავზე საკუთარ „ბალახანაში“, გაიშლიდა და გამოეხვეოდა: „სოფელში რომ ვერ მივდივარ, ეს მემამებაო“. 1915 წლის ივლისის თბილისში — ლაზარეთში — მომაკვდავმა ვაჟა-ფშაველამ მთის წყაროს ცივი წყალი მოინატრა.

1915 წელსვე გალაკტიონმა იკითხა:

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა  
არ გავიარე, რაა მამაული?!

1915 წელს დაწერა აგრეთვე და 1919 წელს დაბეჭდა:

გაისმა შორი სროლის ხმა მთაში  
და მონადირემ დაკოდა შველი.

1917 წელს შეადარა:

თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,  
ვით დაჭრილ ირემების გუნდს — წყარო ანკარა.

1920 წელს გააგრძელა:

უცებ... მახლობლად დაჭრილი ნუკრის  
მოგვესმა კვენსა და ჩვენ ვტიროდით.

მგონი, კარგი ტრიადა შეიკრიბა: ვაჟა-ნიკალა-გალა!

XIII

ვაჟა თუ ფიროსმანი? ფიროსმანი თუ გალაკტიონი? ფიროსმანის უპირატესობა აშკარაა: მთარგმნელი არ სჭირდება!

XIV

1919 წელს გალაკტიონმა პირველად ახსენა ლექსში ფიროსმანი და მისი ერთ-ერთი პანოს რამდენიმე დეტალი.

1920 წელს ტერენტი გრანელმა სონეტით გამოიტყობა. 1922 წელს გიორგი ლეონიძე დაინტერესდა, ფიროსმანის ნაცნობები მოიძია და უაღრესად შთამბეჭდავი ნაამბობები ჩაიწერა.

1922 წელსვე ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსში გაივლია („ეს არის ლანდი უღარბესი, ფიროსმანივით ჩამოხეული“).

1922-23 წლებში გ. ლეონიძის გაზეთ „ბახტრიონის“ ფურცლებზე მწერლებმა და მხატვრებმა აღადგინეს და დააზუსტეს გასაიდუმლოებული ბიოგრაფიის ცალკეული დეტალები და ეპიზოდები.

1924 წელს „მნათობში“ დაიბეჭდა კირილე ზდანევიჩის წერილი.

1926 წელს — ტიცციან ტაბიძის ინიციატივით — გამოიცა ტიცციან ტაბიძის, გრიგოლ რობაქიძის, გერონტი ქიქოძის, კირილე ზდანევიჩის და ნიკოლოზ ჩერნიავსკის წერილების კრებული.

1927 წელს ტიცციან ტაბიძემ გაიხსენა („დგას ფიროსმანი, ხატავს დღეობას და ჩარდახიან ურმების მორევს“).

1928 წელს გიორგი ლეონიძეს უკვე ლექსში დაენანა („აქ ივინყებენ ფიროსმანის მზიან მუშამბას, ბექა ოპიზარს, ოსტატების წმინდა ანდერძს“).

1930 წელს მანვე შეავსო მოგონებათა ციკლი და 1931 წელს „მნათობში“ გამოაქვეყნა — „ცხოვრება ფიროსმანისა“.

1935 წელს ვალერიან გაფრინდაშვილმა ვაჟასთან დაანყვილა („ვაჟა და ფიროსმანი“).

1936 წელს ტიცციან ტაბიძემ დაუწერა შესანდობარი („იმათი იყოს ეს სადღეგრძელო“).

იმავე 1936 წელს ალიო მირცხულავამ ფერადი მეტაფორა შემოგვთავაზა („ცა — ფიროსმანის დახატულია“).

1938 წელს გიორგი ლეონიძემ „მნათობში“ კვლავ გამოაქვეყნა „ცხოვრება ფიროსმანისა“ — შევსებული სახით.

1940 წელს ლადო ასათიანმა ფიროსმანის ანთოლოგია სამი ლექსით შეავსო.

გალაკტიონის სტრიქონებში პირველად გაცოცხლებული და გადარჩენილი ფარშავანგები, ირემები და ვარდები ფეხბედნიერად დაებედა საწყალ ნიკალას: დაინერა ლექსები, პოემები, მოთხრობები, პიესები, სიმღერები, სიმფონიები, გამოიცა ალბომები და მონოგრაფიები, დაიდგა სპექტაკლები, გადაიღეს მხატვრული ფილმი, დაიდგა ძეგლი, გაიხსნა მუზეუმი, თბილისის ერთ ქუჩას ეწოდა მხატვრის სახელი და, რაც მთავარია, დაიწყო გამოფენათა სერიალი მთელს პლანეტაზე, დაიწყო „ფიროსმანიად“.

XV

ფიროსმანის ირემი კი ადამიანით შემოგვეყურებს და ვაჟას ნუკრივით გვეკითხება: — რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი, რას?



ნახატი გალაკტიონ ტაბიძისა

მაია სარიშვილი

\* \* \*

სახელოები ჩემი მკლავების ტყავიანა ავიკაპინე. ასე შიშველი და უნილბო ხელებია საჭირო ახლა. რა დავალაგო? კედლებიდან შავი ცხვრებივით გამორბიან ჩვენი ამბები. მტვერს კი ფეხსვი აქვს სარეველა ბალახივით და არ ითხრება... როცა თითებზე კანი არ მაქვს, ფრჩხილებს ნაცვლად ამომდის ფრთები, რომელთაც დააქეთ აქეთ-იქით ხელები მშვიდად. საქმეები კი არ ჩქარობენ სულ არასოდეს – პატარა-პატარა ჯორკოებზე თავისთვის სხედან... დასანანი, რომ კისრისთვის არ გამოდგება – სუყველა თოკზე ჩემი შვილის ტანსაცმელი მწიფს. აბებს თათები გამოზრდიან, თავს ვერ ვინამლაგ – ბოკვერებივით გამოხეთქეს შუშის ქილები.

\* \* \*

თუ მერე მაინც მამაჩემი გამაჩენს თავიდან, როცა დედით გაჩენილი დავიღვები და აღარ ვიქნები, თუ მერე მაინც კბილებით გამომათრევს სიკვდილიდან, პირში ჩამიგუბებს, ნერწყვის ქაფს მტრედებად გადაიქცევს და ამათ ჩამაყოლებს თავის ღონიერ მუცელში — არ ჯობდა, თავიდანვე მამას გავეჩინე? მუცელშივე თუთიის ხერხემალზე ააცვამდა ჩემს დანყვეტილ ხორცს. გამოკვანძავდა, ველარასდროს დავიფანტებოდი. ზუსტად ცხრა თვეში მუცელს საკუთარი ბრჭყალებით გამოიფლეთდა, უჩემო ფულუროს რამეთი ამოივსებდა, ჩემსკენ აღარასდროს გამოიხედავდა — ასეთი ვიქნებოდი.

\* \* \*

შავი მაგიდა — მოსიარულე და საშიში — თეფშებს არ იკარებს, არც საყვავილეებს. შეგშლის იმის ნახვა — ლექსები როგორ ამოსდის სულ ვინრო ნაპრალებიდან.

ვინ მოგცა შენ ჩემი სიტყვები, შავო ურჩხულო? ბავშვები სკამებით დაგდევენ ოთახიდან — ოთახში. არ გაიკარო! ამათ მინდვრები უნთიათ შარავანდედებად. სასტიკად მძიმეა დედის გამოგონილი მარადი მწვანე. კისრები დაეღალათ, არც იციან, რას ატარებენ თავს ზემოთ.

როცა ვნერ და ზურგს უკან მიდგანან და მეძახიან, კეფაზე ქვის ნაწნავი ამომდის სიმწრით. ვისია ჩემი მარჯვენა ხელი? სილას გავანნი იმ შვილის ლოყას, რომელზეც ხელისგული დამეტევა.

მისმინე, ვილაც ქალს, რომელიც ლექსებს წერდა, სიკვდილის წინ დაუბარებია და აუსრულეს: ყირამალა ჩაუშვეს მიწაში წელს ზემოთ. ფეხები და წითელი ქვედაბოლო კი ზემოთ დაუტოვეს. და როცა ქარია, კოცონივით ბრიალებს ხოლმე, წყნარ ამინდში კი საზარელი სანახავია...

\* \* \*

ჰოლანდიელ ფოტოგრაფს — პიტერ ვან დერ მეერს

ფოტოს გადაღება ნიშნავს, როგორც რეზინის სათამაშოს, ისე მოგიჭირონ სახეზე ხელი, დაგიბრიცონ ნაკვთები საცოდავად და თვალებიდან ამოგესხას მთელი სიცოცხლის მარაგი სევდა.

დაუნდობელი „გაილიმე“ — ჰგონიათ, ყველაფერი წესრიგში მაქვს, ყველა გრძნობა თავის ადგილას მიდევს. უკვირთ, საიდან გამომაქვს ასეთი ღიმილი — ძველი ნავივით სანყალი, უფსკერო, შიგ რომ ვერავის ჩასვამ, რომ სახიფათოა. სხვების ღონიერ ტუჩებზე კი იალქნიანი ხომალდებია — მთელი მათი ოჯახებით — ხელს გვიქნევენ გემბანებიდან.

აქ ამბობენ, რომ პოეტი ვარ — თითქოს იმ ლექსებს, რომლებიც მოსწონთ, ქინძისთავებით მიმაგრებენ პირდაპირ ხორცზე. ასე გარედან ჩემი ლექსები არასოდეს მიტარებია (სამშობლოში ისევე შიგნით ჩავიყრი ამათ). აეროპორტში, ვიდრე უკლებლივ დავიბრუნებ ყველა სადარდელს, მოძრავ ბილიკზე ჩემი სანყალი ჩემოდანი უთვალავჯერ დატრიალდება.

საძილე აბები

აილებ გრძელ მდინარეს, თოკივით გამოკვანძავ, შეყოფ წყლის ყულფში თავს და დაქანდება უცებ ყველაფერი.

ეს ისე ადვილია, სულ უმტკივნეულო, ვერავინ წარმოიდგენს, როგორ უცებ ამოგყვება მდინარე კალაპოტიდან — თვითონაც მკვდარი ქალივითაა, ლიფსიტები შავი აბებივით რომ უყრია ტანში და კი არ ალღობს, პირიქით, იზრდებიან ეს შავი აბები, პირის დაღებას სწავლობენ.

ასეთი მდინარე უღალატოა — არც განყდება, არც თავზე გადმოსრიალდება, ძარღვებზე მოხერხებულად მოგეჭირება.

ხვალ კი ტყუილი დილა — უწყლო ჭიქასავით მოყუდებული ოთხჯერ — ასე რას დავზრდი ბავშვებს — კვამლისა ვარ, ვერ ვიქნები პასუხისმგებელი!

ხოლო კანკალი საიდუმლო კაკუნითაა შიგნიდან — რომ ცოცხალი ვარ, მაგრამ რომ აღარაფერი გამომივა. ეს ღამეც ხომ ხელოვნურად შემოვიჩვიე — თითქოს ქორი გადამეღებოს — ბუმბულები სულ სათითაოდ გავუღიავე.

მოინახულეთ ახლა ვინმე ჩემი საშიში, საშიში ძილი — გადაყლაპული აბები, ლიფსიტებივით რომ მეზრდებიან, პირის დაღებას რომ სწავლობენ.

\* \* \*

დედას

მშობიარობა იმიტომ იყო მტკივნეული, გზებიანა რომ ვიბადებოდი. გზები იყვნენ ბასრები და მოუდრეკავები, ყველაფერი დაგაფლითეს, თორემ მე წისლი ვიყავი, წისლი სისხლს როგორ გამოგადენდა?!

საით არ წავიდე? გზები გადატყდა. მოკარნახე აღარავინაა. და შენც ველარა მცნობ მას მერე, რაც მიწაში ხარ და მას მერე, რაც ჩემი ნამდვილი სახლი მიწამ მოგიშუშა და მერე წავიშალა — ფეხებს შორის მოგიზგიზე ხორცი.

\* \* \*

ახლა უკულმა მაცვია ხორცი და ძვლებისკენა მაქვს მიბრუნებული კანი — ნაკერები ზემოთ. შავი, გიგანტური კალიბრით მიახლოვდებიან შენი სიტყვები, მახტებიან ღონიერი ფეხებით. მე კი სახეც ჩაბრუნებული მაქვს, ძვლებისკენაა პირიც და ჩემკენ ვლაპარაკობ. არაფერი.



ზოგიერთი წამი ჩავარდნილი კლავიშით და ექვსი ფიფქიც კი თავისუფლად წაიღებს ჩვენს კუბოსავით რაღაც ამბავს. როგორ გემეგობრო?

\* \* \*

ახლა ვერ გასწავლი, როგორ არ მოიკლა თავი. ბავშვს რომ ჰაერში ააგდებ და უკან იბრუნებ, მეც ისე სასოებით მიჭირავს ზემოთ ანაგდები სიცოცხლე. ტელეფონის ბლოკნოტი კი ხმელია. არც იტკვირება, არც ლბება ჩემს სათამაშო პირში. რა მემართება? კისერიც უკვე ბამბისა მაქვს, თმები — შალის. 'მოგისმენდითო, მაგრამ არა ვართო სახლებში, არც — არსად!' ტელეფონები რეკავს მთელი ქალაქის ყველა ოთახში, ყველა ჩანთაში, ყველა ჯიბეში. ეს ხმები თავგებივით ამორბიან აპარატებიდან, ყველაფერს ღრღნიან, სუნს აყენებენ. ახლა ვერ მასწავლი, როგორ არ უნდა მოვიკლა თავი. „არა ვართო სახლებში, არც — არსად!“ ძალიან თეთრი ჩაის ჭიქა ვიყიდე შენთვის. აღარავის ვეძებ.

\* \* \*

ყველა შენობა უნდა ამოვშალო და დავტოვო მხოლოდ ადამიანები, რომ ერთიანად დავინახო — სართულ-სართულ, ჰაერში გამოკიდულები როგორ მყარად დააბიჯებენ და ვერ ხვდებიან, რომ იატაკები და კედლები გამოვაცალე. საავადმყოფოებშიც სართულ-სართულ როგორ წვანან ჰაერში მდგარ სანოლებზე! მინდა ყველანი ერთად დავინახო, უბეტონო სივრცეში ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე, მთელი ქალაქის მოსახლეობა უშენობებოდ, მხოლოდ ცის ფონზე, ნაშლილი სტადიონი და უამრავი ადამიანი სივრცეში — მოხრილ ფეხებით — ეგონოთ, რომ სხედან. საბავშვო ბაღებშიც, არარსებულ სართულებზე მოთამაშე ბავშვები და ზოგიერთი დასჯილი კუთხეში, რომელიც არ არსებობს. და მერე წავშალო ყველაფერი, რაც ადამიანებს მალავს. რაკეტები, გემები, თვითმფრინავები, და ვუყურო ცაში და ზღვაზე მოძრავ ადამიანებს, რომელთაც ფეხები მოუხრიათ და ჰგონიათ, რომ სხედან, შენ კი სკამები, ყველა საყრდენი გამოაცალე და ასე მიაქანებ.

# ლელა კოდალაშვილი ბივი ალხაზიშვილის ახალი „ოთახი“

ეს წერილი არის მცდელობა, რამდენიმე შტრიხით წარმოადგინოს გივი ალხაზიშვილის პოეზიის თავისებურებანი. განხილულია აგრეთვე ნაწილი იმ ლექსებისა, რომლებიც „ლიტერატურული გაზეთის“ დღევანდელ ნომერშია გამოქვეყნებული.

ძალიან ადვილია, შეაფასო მწერალი, რომლის ნაწარმოებები დროის ერთ ლაკონურ მონაკვეთში არის შექმნილი. როგორც წესი, ასეთი შემოქმედება, რა მრავალმხრივც არ უნდა იყოს, ავტორის რომელიმე, ერთ ცხოვრებისეულ ნაპირს გულისხმობს. შესაბამისად ადვილია, იპოვნო ის ღერძი, ამ ტექსტ-ფორმების ერთგვარ კარკასად რომ იქცა და მასზე ქანდაკებასავით წარმოდგა ერთი მთლიანი ფიგურა.

სამაგიეროდ, ძნელია იმ შემოქმედება განხილვა, ვისი ხელოვნებაც არა ერთ, არამედ რამდენიმე ქანდაკებად იყოფა, რადგან მათ ლოკალურ მონაკვეთში კი არა, დროში განფენილად იმუშავეს, და რაკი ადამიანის ცხოვრება ეტაპებად და საფეხურებს მოიცავს, ეს მათ ნაწარმოებებსაც დაეტყო და ერთი მონუმენტის მაგიერ რამდენიმედ დააცალკევა. ასეთ შემოქმედებებზე კიდევ იმიტომაცაა ძნელი საუბარი, რომ მათი ნაღვანი ტალღოვანია - აქვს მწვერვალები და ჩაჯვრდები, მიქცევები და მოქცევები, არის მღვრიეც და გაურკვეველიც, ანკარაცა და დანმენდილიც.

ასეთი შესავალი იმიტომ დამჭირდა, რომ გივი ალხაზიშვილის ლექსებზე მინდა ვისაუბრო. ამ ავტორს კი, გარდა იმისა, რომ დროში განფენილი შემოქმედება აქვს, მრავალგვაროვანიცაა ჟანრობრივად თუ ქვეყნობრივად. სწორედ ამიტომ ვერც შევძლებ, ამგვარ ფორმატში განვიხილო ამ პოეტის შემოქმედებითი პეიზაჟები, ყველა ის გრადაციული ხაზი, რომელმაც ამა თუ იმ ეტაპზე გადაიყვანა მისი მოღვაწეობა. მე მხოლოდ ზოგიერთ ნიუანსზე გავამახვილებ ყურადღებას.

თუმცა, ერთი თვისებრივი მომენტის შესახებ აუცილებლად უნდა აღინიშნოს - მან თავდაპირველი ლექსები იმ ფასეულობებზე დაყრდნობით შექმნა, რომლითაც იკვებებოდა მთელი იმ ეპოქის პოეზია. თითქოსდა ჯინში არ ჩაუდგა სამოცდაათიანი წლების და შემდგომი პერიოდის პოეტურ ნორმებს; როგორც მამის ნაქონი პალტო, გადაიკეთა და მოიზომა. ამ მოზომვა-მორგებაში, რომელიც ერთგვარი პოეტური ტაქტის გრძობად შეიძლება მივიჩნიოთ, ნებით თუ უნებლიედ მყარად დადგა თავის ნილ მღვიმესა თუ ნიშაში. ერთის მხრივ სხვა დანარჩენთა სისხლი სისხლთაგანი, დამყოლი მემარჯვენე, ე.წ. ნეოფუნქციონალისტი აღმოჩნდა, მეორეს მხრივ ლამისაა ნორმატიულ მოქმედებათა თანმიმდევრულობით მოახერხა, უარი ეთქვა რაციონალურ კონცეპტუალურ ხმზე და შეექმნა თავისებური კოქტეილი, რომლის ცალკეული ინგრედიენტები თითქოს ყველასათვის ნაცნობია, მაგრამ მთლიანობაში განსხვავებული გემოს და სურნელის თაიგულს ქმნის.

ამ თავგულის მრავალფეროვნებას გარდა მასში გააქტიურებული გნოსეოლოგიური თვალთახედვისა, ისიც განაპირობებს, რომ წმინდა ფორმალისტური თვალსაზრისითაც სხვადასხვაობით გამოირჩევა. პოეტები ძირითადად ერთი რომელიმე ფორმის არჩევით იმკვიდრებენ ხოლმე საკუთარ დიაპაზონს; მათი ბუნებრიობა სწორედ ამ ჩარჩოში თავსდება ხოლმე და მცირედი გადახვევები ერთგვარი ექსპერიმენტის დონეზე რჩება. ალხაზიშვილთან ეს საკითხი ცოტა უცნაურადაა გადაწყვეტილი, რადგან მან ამოირჩია ორი ფორმალისტური უკიდურესობა და საგანგებოდ თალა და აშალაშინა თითოეული მათგანი. ქვემოთ ორი სიტყვით იმაზეც ვიტყვი, თუ რომელ მიმართულებას რომელი გამართლება და გაუმართლებლობა განუვითარდა, როგორც თვისება.

ახლა კი აღვნიშნავ ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო მომენტს - პოეტი შეეცადა, ქართულ პოეზიაში ასე იშვიათი და ასე აუთვისებელი სამყაროსკენ გაეფართოვებინა გზა და ეს გახლავთ გივი ალხაზიშვილის ვერბლანი, როგორც ერთგვარი ბენვის ხიდი კონვენციურ ლექსსა და ვერლიბრს შორის. ლექსის ნაკითხვა მისი ვიზუალური შეფასებით იწყება. ჩვენ ვუმზერთ წიგნის ფურცელზე თუ კომპიუტერის ეკრანზე „დაბატულ“ ტექსტს და



უნებურად ვინცებთ მის ალქმას: სანამ სიტყვებს ნავიკითხავდით, გვესაუბრება სტრიქონების მოხაზულობა, მოცულობა, გვესაუბრებთან ცალკეული ასოები. ალხაზიშვილთან გრაფიკულად თითქოსდა არაფრით გამოჩეული, შეუმჩნეველი ლექსთწყობა, ერთი შეხედვით ვერლიბრისთვის განგანყობს ადამიანს. მაგრამ მოლოდინელი, კონვენციური რიტმის ჩართვა სიურპრიზის ეფექტს იქნის. ოსტატობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არ დაირღვეს ზომიერება, არ გაჟონოს დისბალანსის გიომურმა ნარატივმა და მოხდეს ერთმანეთის თისთქოსდა გამომრიცხავი ფორმების ბუნებრივი ინსტალაცია.

ზემოთ ვახსენე, საგანგებოდ გამოთალამეთქი ავტორმა თითოეული მიმართულება, და არ დაემაღლა, ჩემი შეხედულება ამ თვალსაზრისით მაინც ორად იყოფა. ერთის მხრივ დევს მისი კონვენციური პოეზია და მეორეს მხრივ, ვერბლანის ხიდგადაღმა კი - ვერლიბრის ნიმუშები. კონვენციური ლექსი გივი ალხაზიშვილთან იშვიათი ოსტატობის მატარებელია. თუმცა, მე არ ვაპირებ დღეს მასზე საუბარს, აღვნიშნავ მხოლოდ ერთ მომენტს, რომ არსებობს მაღალი ოსტატობის ნიმუშთა ალგორითმი, რომელიც გვეკარნახობს, რომ ამ ლექსებში გარდაუვალი ჩრდილი ადგას იმ გნოსეოლოგიურ სანყისებს, რომელიც ასე ფასეულია ამ ავტორის აზროვნებასა და ფილოსოფიაში. სამაგიეროდ, როგორც კი თავისუფლდება კლასიკური რიტმის აუცილებლობისაგან, იგი ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ამბობს სათქმელს და უნებლიე რითმაც აქ იბადება. სწორედ ამიტომ, ჩემი აზრით, გივი ალხაზიშვილის შემოქმედების ყველაზე თავისუფალი, სათქმელის ლაღი გამოსატყის ფორმა სწორედ ზემოთ აღნიშნული ვერბლანის და ვერლიბრის ნიმუშებია.

მე არ მიყვარს ხოლმე პოეტის შემოქმედების განხილვისას ტექნიკურ მხარეებზე ყურადღების გამახვილება, რადგან მიმანჩნია, რომ ლექსის შემეცნების ფილოსოფია ყველაზე დიდი ყურადღების ღირსია და თუ მას ფორმალისტური ატრიბუტები სათანადოდ ამშვენებს, ეს დამატებითი ღირსშესანიშნაობაა, რომელსაც მხოლოდ კონვენციური მანკაჟის ფუნქცია აქვს. ამ შემთხვევაში კი ვახსენებ ერთ ყურადსაღებოც არის და ეს მხოლოდ ამ ავტორის შემოქმედების მრავალფეროვანი, კონცეპტუალურობამდე მისული უნისონების „ბრალი“.

მისი კონვენციური ლექსები სმენადახვენილთათვის ერთგვარი ლიბლი არტისტიზმის და მუსიკალურობის ტანდემია. ვერ იტყვი, რომ ისინი თვალსაზრისითაც სიტყვა-სიტყვით, მაგრამ ლექსის ჟღერადობრივ მხარეზე პრეტენზიის მქონე ნებისმიერ ასოკორკიტა ადამიანსაც გასაკრიტიკებელს არაფერს უტოვებენ. თუმცა კი, უნაკლო ფორმა, ლოგიკის კლასიკური კანონის თანახმად, თავისთავად ტრანსფორმირდება ასეთი პოეზიის პრიორიტეტულ ხაზად და ეს ზოგჯერ სწორედ ემოციურ-ექსპანსიური პლანის დიდი დოზით ატროფირებით ხდება. ამიტომაცაა, რომ ეს ლექსები ნვეულებზე ნამსვლელი ადამიანისთვის კოკეტები და საგანგებოდ გამოწყობილები არიან. რაც ცუდი არანაირად არ არის, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ეს ლამაზი და მოვლილი ადამიანი ხანდახან თავისი შინაგანი სისავსის დეფიციტით ნაკლებად მოდის თანხვედრაში უნაკლოდ მოწესრიგებულ გარეგნობასთან.

მაგრამ დავანებებ თავს ამ საკითხების ანალიზს, რადგან აჯობებს ფორმალისტური მხარეები ისევე და ისევე პოეზიის ინჟინერიის სპეციალისტმა განიხილოს გამოწვევით. და რადგან სუბიექტურად პოეზია მხოლოდ ემოციურ-იდეურ ჭრილში მაინტერესებს, შევეც-

დები, ამ რაკურსით შემოსული შთაბეჭდილებები გამოვხატო.

ნებისმიერ შემოქმედს დაუდგება ხოლმე ამონურვის, დაღმა სვლის ან ტაიმ აუტის ხანა. სამწუხაროდ, უმეტესობა ვერ გრძნობს ამ მომენტის დადგომას და ჯიუტად აგრძელებს იმიჯის გამართლებას საზოგადოების თვალში. და თუ ადრე დღევამოშვებით, ვთქვათ, ერთ ლექსს მაინც წერდა, მერეც ცდილობს, ტემპი არ დააგდოს. საზოგადოება კი ინერციით იღებს, უფრო უარესი, იწონებს ამ უსაგნო, უსახო და არაფრისმთქმელ შემოქმედებას და დიდხანს უკრავს ტაშს. მხოლოდ ერთეულები შეანჯღრევენ ხოლმე საკუთარ თავს და იტყვიან, რომ ესა თუ ის ადამიანი დიდი ხანია, ამოიწურა, ფასეულს აღარაფერს ქმნის, და მის მორიგ პუბლიკაციას ხელუკუღმა მოისვრიან. ეს პასაჟი იმიტომ გამოვკვეთე, რომ გივი ალხაზიშვილის თვალშისაცემად აქტიური ტემპის შესახებ აღვნიშნო, რომელიც ხარისხობრივად ავსებს კიდევ მისი წინა პერიოდის შემოქმედებას. ვინც მის ბოლოდროინდელ ლექსებს აქტიურად ადევნებს თვალს, მტერიც რომ იყოს, დამეთანხმება, რომ სულ რაღაც ბოლო თვეებსა თუ დღეებში დაწერილი ვერლიბრები და ვერბლანები თითქოსდა დაგუბებული პოეტური პოტენციის დიდ და ახლებურ ნაკადს ღვრიან. მე არ ვიცი, რა ტემპით ქმნიდა ეს ავტორი წლების წინ და საერთოდ, ტემპის მნიშვნელოვანება არასერიოზულ ნიშნად მიმანჩნია პოეტის დახასიათებისას, მაგრამ ამ შემთხვევაში იმდენად აქტიურად ჩანს მისი პროდუქტიულობა, რომ ძალაუნებურად თვალში გხვდება და გაფიქრებინებს - მოდი, ნავიკითხო... აქ უკვე უნდა გაცდე მისი, როგორც ავტორ-პოეტის სახელოსნოს და ობიექტივი ავტორ-ადამიანზე გადაიტანო. მაგრამ ვერც ეს ვერაფერს ვერ გეუბნება - თუ რა ხდება, რა ახალი მიჯნა გადალახა, რა დაიგონა და დაიხვია ხელშეუხებლად წლების მანძილზე, რომ იგი ასე ალაგებს. თითქოსდა ერთი ციკლის გზას დაადგა, ერთი რომელიღაც თავისი გამოგონილი ფერი ამოირჩია და იმ ფერით გადმოაქვს ეს დიდი ხნის წინ დახვეწილი და დატკეპნილი ძაღვის გორგალი.

ახალ ლექსებზე უფრო მეტად დიალექტიკური მიდგომით მუშაობს. გაჯერებულია ონტოლოგიური ორჭოფობებით და მსჯელობებით, აქვს სერისუალურ-ემპირიული ალქმები. უფრო თუ დავაღწავლო, რამდენიმე გაჯერებული გაგებით ასკეტიკურ-მისტიკური ლექსების მოძალება იგრძნობა. თუმცა, ამ მიმართულების კლასიკური გაგებისგან შორს არის, რადგან იგი მის მხოლოდ ელემენტებს იყენებს. ალბათ ამიტომაცაა, რომ დმერთის ხატი თითქმის არ ჩანს, იგი მხოლოდ იგულისხმება. ძალიან საინტერესო ლექსია „მარტის ქუჩა 13“. ესაა ერთგვარი ბალადა მისტიციზმზე. ლექსის დასაწყისი სტრიქონები ფაქტობრივად ამ ბალადის ეპილოგია, დასკვნაა: „ნამოგყვენ სიტყვები და ფრთებით“

ავაგესეს: და ის, რაც აქ იყო, თურმე აქ არ იყო და რაც აქ არ იყო, ის — ახლაც შენია...“

და მხოლოდ მერე იწყება ერთგვარი მოდერნიზებული სიუჟეტი, რომლის მისტიკური ჯაჭვი რაღაც მონაკვეთში წყდება, რათა ავტორმა მიიღოს გადაწყვეტილება — ღმერთის ფარული ხატის კიდევ ერთი აღიარება. მიუხედავად იმისა, რომ ლექსი ბოლომდე იდუმალია. და ფინალიც შეგაძრწუნებთ, შეიძლება შიში და აღფრთოვანება ერთდროულად მოგვგვართო კიდევ, ტექსტი მაინც ღრმად ფილოსოფიურია და მსჯელობით არის გაჯერებული. ეს მსჯელობა ხან რითმის უნებლიე აჟღერებით მოდის მკითხველამდე, ხან, თითქოს ავტორს საამისოდ აღარ სცხვლაო, თავისუფალ თხრობას ამჯობინებს. იქმნება ძალდაუტანებლად აზრის გადმოცემის ეფექტი და ეს ემოციურ ალქმას კიდევ უფრო ამძაფრებს. ფინალური ნაწილის კვლავ კი მტკი სიმძვიდით მსჯელობს. თითქოს გულზე მოეშვაო. და ეს შვება გადმომდებია. გექმნებათ შთაბეჭდილება, თითქოს არც ყოფილა ეს მძაფრი განცდა, თითქოს გაქრა, ან შენში ჩაბრუნდა ისევე, როგორც ავტორი წერს - „შენგანვე იყო გამოხედვა უცნობი თვალის“, და საბოლოოდ: „და შენ მიხვდი, რომ შელოცვაა შენი სიმღერა, მათ გასაგონად და იმ სიტყვების გასაღვიძებლად, ზოგჯერ ცოცხლებს მხოლოდ ზღვართან რომ ახსენდებათ და მხოლოდ სულებს თუ გააგონებ — მარადიულად ძვირფას პუბლიკას, როცა მიუგდებ: „ძილი ნებისა!“ სადაც გრძელდება სანახაობა და ანშლავა შეღამებისას.“

გივი ალხაზიშვილს ახასიათებს გავრცელებულ გამოთქმათა მეტამორფოზირება პოეტურ სახეებად. რაზეც ხშირად შენდება ლექსის რომელიმე პერიფერიული არტერია.

„როგორ უხმობენ მიწისქვეშა და დაღლილ სულებს და სულის მოთქმას არ აცლიან“, ან ფინალური სტრიქონები - „შენ წახვალ სულის მოსაბრუნებლად...“ გარდა პოეტური სახისა, ეს სტრიქონი მთლიანად კრავს ლექსს. თითქოს ავტორმა ამ სტრიქონის სათქმელად დაწერა მთელი ტექსტი, რომ როგორმე ჩვენთვის აეხსნა სათქმელი და კიდევ ერთი მისტიკურ-რელიგიური გააზრება იმის, რაც მუდამ აფიქრებს ადამიანს. და ერთი მახასიათებელიც - „მარტის ქუჩა 13“ არ არის მეტაფორულ მინერალზე გაგებული ლექსი. იგი ერთი მთლიანი მეტაფორაა. და ამით გამოირჩეული.

მისტიკურ ციკლს აგრძელებს ლექსი „გახედვა საღამოსაკენ“. მხოლოდ აქ სპირიტუალური განწყობილებები ფილოსოფიური დასკვნებითაა ჩანაცვლებული. თითქოს სულ სხვა სათქმელი. იდეური მხარეც სხვას მიგვანიშნებს, მაგრამ რექვიემის განწყობილება ფარავს მთელ ტექსტს და დროდადრო ამაოების მოტივიც გვახსენებს თავს - მრავალგზის ნათქვამის კიდევ ერთი თავისებური პასაჟი, რადგან მრავალგზისობა სძენს სწორედ სათქმელს მნიშვნელოვნებას:

„ბალახს შეეკითხე, კიბეზე ასვლას რომ ცდილობს გამუდმებით, შინ ვინ ეგულდება, ანდა ვის დაეძებს? თვალს თუ აარიდებ და გაუყურებდი გულზე გადავივლის და გაფიქრებასაც ვერ მოასწრებ: გადაიხვევება ეგ სული ჩიტვიით“.

ეს ცხოვრების ერთ დიდ ეტაპშეჯამებულ კაცის მსჯელობაა. ან იქნებ მსჯელობაც არ არის, „საღამოს სილაზე დაწერილი სიმღერა“, რომელსაც არ სჭირდება დამძიმება, ფიქრი და განსჯა. მოისმინე და იგრძენი მხოლოდ.

მისტიკური ციკლის გაგრძელებაა აგრეთვე ლექსი „თვალი გზად გავირბის“. მაგრამ ეს ზემოთწარმოდგენილი ლექსივით „სალილინი“ არ არის. არც მსჯელობებითაა დატვირთული. გლოვის ერთგვარ ინტონაციას ამ ლექსში პოეტური სახე-სურათები ქმნის. ზოგადად ვერ ალხაზიშვილი სუბიექტის მეორე პირში ნარმოდგენით კიდევ უფრო გითრევს და თან გიზიარებს თავის სამყაროს, თანამოაზრედ გამოყავხარ, რომ ერთად განიცადოთ - ერთდროულად, შენ და ავტორმა. ეს ერთგვარი პოეტური მედიტაციის ფორმაა, რომელსაც იგი ხშირად მიმართავს. ამ ლექსშიც სწორედ ასეა - გააქტიურებს, ხოლო თვითონ ჩრდილში დგება. ტრანსის ემოცია ნელ-ნელა ამუშავდება და შენ ამბობ - მეც ასე ვიტყვოდი.

„თვალს ხუჭავ და მაინც თვალი გზად გავირბის, იმ გზისკენ, რომელიც უკან არ ბრუნდება, და ეს მერამდენე დღეა, ვერ იხსენებ ერთი და იგივე დღე რომ მეორდება და შენც რომ არსებობ ვიღაცის ასლივით, რომელიც დედანთან ყოველთვის სწორია, დედანთან სწორია, როგორც ეს მასივი — ნაცრისფერ ყოფითაც არ არღვევს სტანდარტებს, შენ არსად, ის არსად, გრძელდება ზოზინი — ანდანტე... ანდანტე...“

ვფიქრობ, ქვემოთ წარმოდგენილი სტრიქონები წმინდა პოეტური სახეების თვალსაზრისით დახუნძლულია და აქაც თვალშისაცემად დაცულია მსუბუქისა და მძიმეს ბალანსი. „შენ ცხოვრობ ურუმრად კვირების მწყემსივით, თვეების მწყემსივით და ნელთალმრიცხველი დღეების სიმრავლეს ვეღარსად ნაუხვალ და გული — დამალულ ცრემლების ჭურჭელი, ფეიქარ ფიქრების თვალებით შეგხედავს, და უცნობ სიტყვების ჩაგესმის ჩურჩული, და ქვიშაქვეული სათქმელის შრიალი“.

„ივნისის სონატა“ სიტყვების თამაშზეა აგებული.

როცა პოეტს მერამდენილაც განახლება ეწყება, როცა ეს პროცესი აქტიური და თვალშისაცემია მკითხველისთვის, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ იგი კიდევ ერთი ახალი ადამიანია ლიტერატურაში. ვფიქრობ, გივი ალხაზიშვილი სწორედ ასეთი სახეა, რადგან სულ სხვა დიაპაზონის ფარგლებში იწყებს მოღვაწეობას, ახალ ოთახს აშენებს ისე, რომ ძველებს არ ანგრევს. ამ პროცესს დრო უფრო მარტივად დაასაბუთებს და სათანადო დეფინიციებსაც მიაგებს.



# როდის აღვნიშნოთ შოთა რუსთაველის დაბადების დღე?

„არც ერთ სახლს ამხვენიან მისი სახლის მემორიული დაფა, არც რომელიმე აკადემიის ნაპირად აუპირიყვიან იგი ოდესმე, არც თუ დაფინითა და მუხის ფოთლებით შუაგით მისთვის შუბლი თანადადროვით. იგი ხელიდან გასხლტომია მთავრადანა და ვინ იცის, გიორგიშვიტი შესაძლებელია თუ არა თარიღების სალტაჟო მოაქციოს ოდესმე მისი აქ მოსვლის და იღუპალი გაუჩინარების ამბავი...“ (კონსტანტინე გამსახურდია „აპოლოგია რუსთაველისა“. 1937 წელი)

შოთა რუსთაველი — ვიციტ ყველაფერი და არაფერი... ვიციტ მისი გენიალური ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“. არ ვიციტ, ვინ იყო კაცი, რომელმაც ეს გენიალური ქმნილება შექმნა. ვიციტ, რომ თამარ მეფის ზეობის პერიოდში, ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის მატერიალური და სულიერი აყვავების ხანაში ცხოვრობდა. არ ვიციტ, როდის დაიბადა და აღესრულა. მემატთანე სიტყვაძუნნი აღმოჩნდა ამ გენიოსის მიმართ. ხალხური გადმოცემით, შოთა რუსთაველი მესხი უნდა ყოფილიყო, ამასვე ადასტურებს მისივე სიტყვები: „ვნერ ვინმე მესხი მელექსე...“ იგივეს აღნიშნავს არჩილ II „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებანიც შოთას მესხურ წარმომავლობაზე მიგვანიშნებს. მკვლევარების მოსაზრებით, „რუსთაველი“ მესხეთის რუსთავს უკავშირდება. რუსთავს, რომელიც ახალციხე-ასპინძის შარავის მახლობლად მდებარეობს. XX საუკუნის 60-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ, მესხეთში და კონკრეტულად რუსთავში ერთ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. ყოველი ოქტომბრის ბოლო კვირადღეს აქ შოთაობას აღნიშნავენ ხოლმე. ამავე დღეს შოთას სახელს პატივს თელაველები იყალთოს აკადემიის ნაგრეველებზე მიაგებენ. ამ ტრადიციის მიუხედავად, დღემდე ბევრს ფიქრობენ და დავობენ, როდის უნდა აღინიშნოს დიდი პოეტის დღე. ერთ კონკრეტულ თარიღზე არავინ შეთანხმებულა. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ყოველი დღე შოთა რუსთაველი ეკუთვნის, მეორენი „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის ტრადიციას უყრიან საფუძველს. დღეიდან „ლიტერატურული გაზეთი“ იწყებს დისკუსიას თემაზე, თუ როდის აღვნიშნოთ შოთა რუსთაველის დაბადების დღე. იქნებ, ავირჩიოთ დღე, როცა მთელი საზოგადოება აღნიშნავს არა „შოთაობას“, არა „ვეფხისტყაოსნისა“ თუ რუსთაველის, არამედ პოეტის დაბადების დღეს. გადავწყვიტოთ, ამ საკითხზე ვაგვეგო იმ ადამიანების მოსაზრება, ვისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირებულია თავად რუსთაველი და გენიალური „ვეფხისტყაოსანი“. ველით თქვენს წინადადებებს. შემოგვიერთდით და ერთად დავანესოთ შოთა რუსთაველის დაბადების დღე.

## ბასიკ სარანაშვილი — პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი:

ერთი ოცნება მქონდა რუსთაველზე: „ვეფხისტყაოსანი“ ზღვა და სიღრმეშია სამიში, ხოლო ნაპირზე ბავშვსაც თავისუფლად შეუძლია ირბინოს“. ამ ოცნებაში, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაზე და სხვა, შუა საუკუნეების ქართულ წყაროებზე, აგრეთვე, მთის დი-ალექტებზე დაყრდნობით „ვამტკიცებდი“ შოთა რუსთაველის ფაქტურ წარმომობას. ამაზე ერთმა ჩემმა ახლობელმა შემნიშნა, — ვაჟა ფშაველა არ გეყოფათო? მე უპასუხე: მაღლობელი დაგრჩები, თუ, სანაცვლოდ, შენ რუსთაველის გურულლობას, ან, თუნდაც მესხობას დაამტკიცებ-მეთქი. მართლაც, რაც მეტი ქართული კუთხე შეეცილება ერთმანეთს რუსთაველის სახელს, მით უკეთესი ქართველებისთვის. შოთა რუსთაველის ცხოვრების უტყუარი ნიგნი რომ გვექონდეს, ზღვარი დაედებოდა ჩვენს ოცნებასაც, რომელსაც ფრენის გარდა ისიც უყვარს, ჩარჩოებს რომ მიეხლება და საზღვარს შეიგრძნობს. ამის გამო, რაკი ჩვენი ცოდნა მხოლოდ ვარაუდებს ემყარება და არა ფაქტებს, ერთადერთი მეგზური — ჩვენც წარმოსახვაა, რითაც კაცი ყველაზე ნაკლებ შეიძლება გაცოდვიანდეს. თუ შოთა რუსთაველმა ინება და საკუთარ ცხოვრებაზე მხოლოდ ოცნება დაგვიტოვა, ჩვენც ვისარგებლოთ ამ სიკეთით: ნუ მივხედავთ ცხოვრებას, რომელსაც უნდა, რომ ოცნება დაეკარგოთ. გეგონება, რუსთაველი ლალი შემოქმედი არ იყო, გეგონება, მეოცნებენი არ იყვნენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები, ტრადიციითა მძლევენი და სინამდვილის გადამლახავნი. იყავი ლალი! მიიღე ოცნების გამონევა, — თავისი წილი თამაშით, — შეიხსენ საყლო და თავისუფლად ისუნთქე. გახსოვდეს, ჩვენში კაცის ოცნებას და ფანტაზიას, როგორც ცოდვას, ისე ებრძოდნენ, რადგან ოცნების პირველი ანბანი თავისუფლებაა, კაცს კი მისჯილი ჰქონდა, რომ ეჩრიალა, განათუ ექროლა. „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“ — ამბობდა გალაკტიონი და არავის შეჰქონდა ეჭვი. იქნებ ოცნებითვე გაირკვეს მისი დაბადების დღე. მართლაც, როდის დაიბადა რუსთაველი? იქნებ „ვეფხისტყაოსანშია“ პასუხი? მონურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა, ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა, ე ტ ლ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ა მ შ ი ს ა გ ა ნ, შე ჯ დ ო მ ა ს ა რ ა ტ ა ნ ი ს ა. გამოყოფილი სტრიქონი ჩემი ენაზე ნი-

შნავს, რომ რუსთაველი დაბადებულა ოცდაერთ მაისს. თუ „ვეფხისტყაოსანში“ სხვა დრო, სხვა თვე და სხვა თარიღი მოიძებნება, ავდგეთ და ავარჩიოთ მათ შორის. „რუსთაველის დღე“. ეს დღე მთელ საქართველოში უნდა იყოს დღესასწაულის, ფესტივალების, კონკურსებისა და მრავალგვარი პოეტური შეჯიბრებისა და თეატრალური წარმოდგენების დღე. რაც მთავარია, ეს დღე „რუსთაველის კითხვის დღე“ უნდა იყოს. გრძელი და დაძაბული დღე უნდა იყოს, რომ მონანილებმა ოფლის შემორობა ვერ შეძლონ და მსმენელებმა ამოსუნთქვა. დაე, ეს დღე დაამოწმოს და დაადგინოს ფართო აუდიტორიამ — ხალხმა, მეცნიერებმა, ლიტერატურის მკვლევარებმა, ისტორიკოსებმა და პოეტებმაც... „კითხვის დღე“ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა იქცეს საქართველოში. მალე ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე აღინიშნება. ამ თვესვეა დაბადებული გალაკტიონ ტაბიძე... დავიწყეთ ამ სახელე-ბიდან და ნურავის გამოვტოვებთ. მერწმუნება, დაფასება ჩვენი შრომა. ნელნელა ხალხი ნიგნს დაუბრუნდება, დაუბრუნდება საკუთარ ენას და იმასაც შეი-სისხლბორცებს, რომ ადამიანის დანიშნუ-ლება მეტია, ვიდრე მხოლოდ სინამდვილესთან ჭიდობა. „რუსთაველის დაბადების დღე“. ეს იდეა — სამას სამოცდახუთი წმინდა გიორგის ქვეყანაში — არვისთვის არაა მიუღებელი, და, მით უმეტეს, ცაში გამოკიდული. გავა დრო და ოდესმე იკითხვენ: — ნეტა ვინ იყო ის ხალხი, ვინც რწმენის ძალით შეეჭიდა ჟამთუკუღმართობას, აირჩია ერთი დღე და დაარქვა მას თავისი დასა-ბამის სახელი. ოდესღაც, „იოანეს სახარებაში“ იოანე პეტრიწმა „პირველთაგან იყო სიტყვა“ „დასაბამიდა იყო სიტყვა“ — თი შეცვალა. მართლაც, „პირველი“ რიგითობას აღნიშნავს და არ შეესაბამება ღმერთს (პირველი, მეორე...). ღმერთი დასაბამია და არა პირველი! ასეთივე მნიშვნელობისაა რუსთაველიც ქართული ენისა ლიტერატურისთვის: იგი დასაბამია და არა პირველი — „პირველები“ ბევრნი არიან. დასაბამიდან, რაც ჩვენი ხალხი არსე-ბობს თავის მიწაზე, კავკასიონის უღელი მოაქვს ქედით. რუსთაველმა ამ ხალხის ენა დაიცვა კავკასიონივით. დაიცვა სხვა ენებისა და კულტურების ექსპანსიისაგან, რომლებიც განვითარე-ბის ისეთ სიმაღლეზე იდგნენ და ისეთი ძალა გააჩნდათ, რომ მრავალნი დააკნინეს და გადააშენეს. არ დაინდობდნენ არც

ჩვენს ენას და არც ჩვენს კულტურას, მაგრამ რუსთაველს ვერ გადმოსცილდნენ. რომ ყოფილიყვნენ სხვა პოეტები, ისე-თები, ვინც რიგითობას შეესაბამებინ, მოვიდოდნენ უცხონი და ნაგვართმევდნენ ენასაც და კულტურასაც. მაგრამ რუსთაველი იყო და ვერ გად-მოსცილდნენ. ჩვენ იდეალისტები ვართ და თვალს ვუხუჭავთ ამ გრძნობას. ჩვენ რეალისტები ვართ და გვაშინებს ყოველივე ახალი. ჩვენ „საქართველოს რუკის დღეც“ არა გვაქვს. ჩვენ არა გვაქვს ადგილობრივი დღე-სასწაულები. შესაბამისად, ჩვენ არა გვყავს ტრა-დიციის მოთავეები, მეოცნებე იდეალ-ისტები. ნუ შევფასებთ თვალთ იმას, რაც არ ჩანს, ყურით იმას ნუ დაველოდებით, რაც ჩვენს სმენას აღემატება... ჩვენი მეგზური რწმენაა და იდეალიზმი. რუსთაველი ყოველი ქართველის გუ-ლშია. ყველა თვალისგახელისთანავე ვიტყ-ვით მის სახელს. წელიწადის ყოველი დღე რუს-თაველისაა. ერთ-ერთი მათგანი მისი დაბადების დღეა.

## ბია მურღულია — ლიტერატურათ-მცოდნე:

შესაძლოა, ვინმემ თქვას — ყოველი დღე რუსთაველის არისო, მაგრამ ერთია სურვილი და მეორე — რეალობა. არა მგონია, რუსთაველს არ სჭირდებოდა პოპულარიზაციის განევა დღევანდელ საქართველოში. სამსუხაროდ, ბევრმა არ იცის, ბევრი არ კითხულობს და არ ესმის „ვეფხისტყაოსანი“. სახელმწიფო, საზოგადოება, კერძო პირი — ყველა ერთგულად უნდა უწყობ-დეს ხელს იმას, რომ რუსთაველის სიღ-რმეებს ეზიაროს და ბევრი რამ შეიცნოს. ხშირად უნდა ვიხსენებდეთ იმ ღირე-ბულებზე, რაც „ვეფხისტყაოსანში“ წერ-ია და რითაც რუსთაველი წარსდაგა მთე-ლი კაცობრიობის წინაშე. რუსთაველის დღე უნდა იყო მრავალ-ფეროვანი და მრავალწინაგოვანი, რათა კიდევ ერთხელ, ახალი რაკურსით, წარ-მოჩნდეს დიდი პოეტის შემოქმედება. კარგი იქნება თუ ამ დღეს საქართვე-ლოს ყველა კუთხეში დაიწყება „ვეფხ-ისტყაოსნის“ კითხვა და ამ ტრადიციას ჩაეყრება საფუძველი.

## ნუზარ ნიკლაური — საქართველ-ოს პარლამენტის წევრი, გამომცემლო-ბის „ლიტერას“ დამფუძნებელი და „ვეფ-ხისტყაოსნის“ კითხვის ტრადიციის აღ-დგენის ერთ-ერთი ინიციატორი:

7 წლის წინ გამომცემლობა „ლიტე-რას“, დათო ტურაშვილისა და ჩემი ინი-ციატივით გადავწყვიტეთ, გამოგვეყო დღე, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ კითხ-ვაში გავატარებდით. თარიღზე ბევრი არ გვიფიქრია. სიმბოლოებიც არ გვიძებნია. 17 ივნისს საზოგადოების ნაწილს თავი მოვუყარეთ და ეს დღე შოთა რუსთავე-ლის „ვეფხისტყაოსანს“ მივუძღვეით. მას შემდეგ ამ ტრადიციისთვის არ გვილა-ტია. რადგან უკვე არსებობს ეს თარიღი, ურიგო არ იქნებოდა, შოთა რუსთაველის დაბადების დღეც სწორედ 17 ივნისი ყო-ფილიყო. თუმცა, მეორეს მხრივ, თუ სხვა თარიღიც გაჩნდებოდა, რომელსაც რუს-თაველის სახელი დაერქმევა, ნამდვილად კარგი იქნება. 17 ივნისი რუსთაველის ქმ-ნილებას, ხოლო ახალი თარიღი — თავად შოთას მიეძღვნება.

## ნოდარ ნათაძე — ფილოლოგიის მე-ცნიერებათა დოქტორი. ავტორი ნიგნე-ბისა: „რუსთაველი მიჯნურობა და რენ-ენსანის“, „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“:

ჩემი პასუხი თქვენს კითხვაზე ასეთია: ძალიან კარგია, მაგრამ სჯობს დაარსდეს გურამიშვილის დღე, სადაც იქნება ლაპარაკი დღევანდელ პრობლემებზე.

რუსთაველის დღეზე საუბარი ნაადრე-ვია, რადგან ჯერ ამის დრო არ დამდგა-რა.

## რეზა სირაძე — პროფესორი. ფი-ლოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი:

რუსთაველის დღე აუცილებლად უნდა დანესდეს, რისთვისაც წინასწარ უნდა მოვემზადოთ, რათა რიგიანი ღონისძიე-ბები ჩაატაროთ მთელ საქართველოში. კარგი იქნება თუ აღინიშნება შემოდ-გომით, კერძოდ, ოქტომბერში. ეს წამონ-ყება რუსთაველის კითხვის ფონზე უნდა წარიმართოს და გაგრძელდეს აქამდე არ-სებული ტრადიცია. რუსთაველის ყვე-ლაზე დიდი დაფასება არა მხოლოდ საიუ-ბილეო ღონისძიებაა, არამედ „ვეფხისტ-ყაოსნის“ კითხვა ყველა თაობის მიერ. უნ-და დაიგეგმოს და განისაზღვროს ღონის-ძიებები, რათა მაღალ დონეზე ჩატარდეს რუსთაველისადმი მიძღვნილი დღე.

## ირმა რატიანი — პროფესორი. ლი-ტერატურის ინსტიტუტის დირექტორი:

კარგი იქნება ასეთი დღის დანესება. რუსთაველი არის ერთგვარი საზოგადო-თული კულტურული ტრადიციისა. ასეთი დღის დანესება მნიშვნელოვანი იქნება იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ მუდმივად მო-გვინებს ამ კულტურულ ტრადიციასთან მიბრუნება. მეორე მხრივ, რასაკვირვე-ლია, მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაო-ბისთვის, რომელიც, სამწუხაროდ, ძველი ღირებულებების ნიველირების გზას ად-გას.

## შოთა იათაშვილი — პოეტი, პრო-ზაიკოსი, მთარგმნელი:

მთავარია ისეთმა გემოვნებამა ად-ამიანებმა მოკიდონ ხელი ამ საქმეს, ვინც კარგად იცნობს კულტურას მთელი თავი-სი ნიუანსებით. ხშირად ჩინოვნიკები გვევ-ლინებინან ორგანიზატორის როლში და საქმისადმი ზერელე, არაპროფესიული დამოკიდებულება აშკარაა. რუსთაველის დაბადების დღე უნდა იყოს სიახლით აღ-სავსე და არა ძველი გადმონაშთის გამე-ორება.

## ბაჩანა პრეპრაძე — მთარგმნელი:

რუსთაველის დღის აღნიშვნა ზედმე-ტად მიმაჩნია. თუ ქართველი ქართვე-ლობს, მაშინ ყოველი დღე რუსთაველისაა.

## მიხეილ ქურდიანი — რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე:

რუსთაველის დღე კი არ უნდა დანეს-დეს, არამედ უნდა აღდგეს. 1918 წელს ქართველმა მწერლებმა დაანესეს პოეზი-ის დღე, რომელიც 6 მაისს უნდა გამართე-ლიყო. 6 მაისი გიორგობას ემთხვეოდა, რაც ხელისუფლებას არ მოსწონდა. მოგვიანებით განახლდა გაზეთის გამ-ოცემა, რომელსაც „პოზიის დღე — რუ-სთაველის დღე“ ერქვა. ამ დღისადმი მიძ-ღვნილი გაზეთები გამოდიოდა ქუთაის-ში, ბათუმში და სხვაგან, სადაც კი მწერ-ალთა კავშირს განყოფილებები ჰქონდა. მიმაჩნია, რომ „პოზიის დღე — რუს-თაველის დღე“ უნდა აღდგეს და გამართ-ოს ისეთივე ფართო მასშტაბით, როგორც წინათ ტარდებოდა, რადგან ეს არის ერ-თადერთი სფერო, სადაც საქართველოს მარცხი არ განუცდია.


## რუსთაველი ფაქტობრივად — მხატვ-არი, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრატორი:

ურიგო არ იქნება, თუ აღინიშნება რუსთაველის დაბადების დღე. ჩემმა თაობამ უფრო კარგად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, ვიდრე მომდევნო თაობებმა იციან. ხშირად ვეგვიბრებოდათ ხოლმე ერთმანეთს საზეპიროებში და გვი-ხაროდა, გვეამაყებოდა „ვეფხისტყაოს-ნიდან“ ზეპირი ციტირების სიუხვე. თავისთავად კარგია, რომ საფუძველი ჩაეყრება შესანიშნავ საქმეს. განსაკუთრე-ბულად მიყვარს ავთანდილის ანდერძი და, კერძოდ კი, აი, ეს ადგილი: „რადგან თა-ვია სიცრუე ყოვლისა უბედობისა“ და ა. შ. ეს სტრიქონი ჩემთვის „ვეფხისტყაოს-ნის“ ერთგვარი დედააზრია.

მხარალი

თეონა დოლენჯაშვილი:

# ბადარჩენის გზა ინდივიდუალურ შემოქმედებაში



ის წერის პროცესს მხატვრობას ადარებს. მისთვის ნოველა ესკიზია, მოთხრობა — სწრაფად, ერთი აფეთქებით შექმნილი ნახატი, ხოლო რომანს დიდ და მონუმენტურ ტილოდ აღიქვამს. თეონა დოლენჯაშვილი მწერლურ გზას 2003 წელს დაადგა. მხოლოდ ორი წიგნი გამოსცა და ორივემ წარმატება მოუტანა. ლიტერატურული პრემია „საბას“ 2006 წელს საუკეთესო დებიუტისთვის გადაეცა (მოთხრობების კრებული „იანვრის მდინარე“), ხოლო იგივე ჯილდო 2009 წელს მის რომანს („მემფისი“) ერგო.

წარმატებული მწერლური კარიერის მიუხედავად, თეონა მიიჩნევს, რომ ის, რაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ სივრცეში ხდება, უმნიშვნელოა. „საბას“ ორგზის ლაურეატი დღეს „ლიტერატურული გაზეთის“ სტუმარია.

— შენი რომანი „მემფისი“ გულდასმით წავიკითხე, წიგნმა თვითონ წამაკითხა თავი. „თოჯინებად ქცეული ადამიანები“ ავბედითი 90-იანი წლების ანარქიკლებია. უცბად გაიელვა თვალწინ მაშინდელმა მოვლენებმა, დღეს რომ ისტორიად, თითქოსდა მივიწყებულ, მაგრამ მაინც მოუშუშებელ ტკივილად ქცეულა. ალბათ, ამ რესენტიმენტმა განსაზღვრა შენი რომანის სიუჟეტი, 90-იანი წლების ამბავს რომ ასახავს.

— მე მაინც ვფიქრობ, რომ თოჯინებად ადამიანებს ომი, შიმშილი და გაჭირვება კი არა, მეტისმეტად კომფორტული, დავარცხნილ-გაპრიალებული და უპრობლემო ცხოვრება აქცევთ. სისტემა, რომელიც ეგოცენტრიზმზე, ნარცისიზმსა და მატერიალურ კეთილდღეობაზეა დაფუძნებული. სწორედ ეს ფიტავს ადამიანის გულს, სიყვარულის უნარს ართმევს და იმ თანამედროვე მემფისის მკვიდრად აყალიბებს, რომელზეც რომანში ვწერდი. რაც შეეხება 90-იან წლებს, მან მართლაც ბევრი რამ განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ეს წლები ჩემთვის ყველაზე საინტერესოა, და მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ამ პერიოდზე ბევრი რამ დაწერილა, ვფიქრობ, მაინც არ არის სრულად აღქმული და შეფასებული. 90-იან წლებს დამთხვავა ჩემი სტუდენტობა. დრო, როდესაც ყველაზე თავისუფალი და ბედნიერი ხარ. როდესაც ყველაზე მეტად გახსნილი ხარ გარესამყაროსთვის და ძნელია, როდესაც ამ დროს ტყვიების ცეცხლში დადიხარ, მეგობრები უაზრო და სისხლიან გარჩევებს ეწირებიან, ქალაქის ქუჩებში კი მხოლოდ პურის რიგებია გაჭიმული. გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ახლა უკვე უახლეს ისტორიად ქცეულმა დრომ ბევრი რამ მასწავლა და განსაზღვრა ჩემს ცხოვრებაში. ყველაფრის მიუხედავად, იმ პერიოდის თბილისი გაცილებით თბილი, ადამიანური და სულიერი იყო, ვიდრე დღევანდელია და მაშინდელი მოგონებებიც უფრო ძვირფასი, თბილი და იმ სინათლის მუქივით გადარჩენილია, ასე იმავითად რომ ინთებოდა ჩვენს სახლებში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ჩემი პირველი რომანის პირველი ნაწილის სიუჟეტი სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა და იქ ვითარდება.

— ბავშვებს ყველაზე მეტად გამოგონილი ამბების სჯერათ. თვითონაც უყვართ რაიმეს გამოგონება. ჰყავთ წიგნისა და კინოფილმის საყვარელი პერსონაჟები. როგორი იყო თეონა დოლენჯაშვილი ბავშვობაში და განსაკუთრებულად რომელი მწერალი უყვარდა?

— ძალიან ჩაკეტილი, ინტრავერტული ბუნების ბავშვი ვიყავი. თანატოლებთან კომუნიკაცია მიჭირდა და ამიტომ რაღაცების შეთხზვა და გამოგონება ჩემი მთავარი გასართობი იყო. მთავარი მასალა კი, რა თქმა უნდა, წიგნებში ამოკითხული ამბები იყო. ვკითხულობდი ყველაფერს და ყოველთვის — სახლში, ქუჩაში, ეზოში, გაკვეთილებზე... მერე ამ ისტორიებს საკუთარ ინტერპრეტაციას ვუკეთებდი და ღრმად მწამდა, რომ ჩვენი სახლის სარდაფში ის განძი იყო, რომელსაც გამოქვაბულში დაკარგულმა ტომმა და ბეკიმ მიაგნეს, რომ ჩემი ულამაზესი სოფლის გაშლილ მინდორზე ღამით მარტო თუ დაედგებოდა, აუცილებლად გამოჩნდებოდა რეი ბრედბერის რომელიმე პერსონაჟი „მარსის ქრონიკებიდან“ და იმ ფანტასტიკურ პლანეტებზე მოგზაურობას შეეძლებოდა. რომ მეც სალტკროკელი ვიყავი, კალე ბლუმკვისტი ჩემი მეგობარი იყო, ხოლო მეზობლის უზარმაზარი ძალი სინამდვილეში კუპრაშვილების კი არა, ბასკერვილებისა გახლდათ... მოკლედ, სულ ასეთი იდეებით შეპყრობილი ბავ-

შვი ვიყავი. საბედნიეროდ, ეს სინამდვილე მხოლოდ ჩემში არსებობდა და სხვა თანატოლებს ამ ამბებში არ ვრთავდი. ასე რომ, უამრავი საყვარელი წიგნი, პერსონაჟი და თვალთუხილავი თანამგზავრი მყავდა და მათი ჩამოთვლა ახლა ძალიან გამიჭირდება. არ მინდა, ვინმეს გული დავწყვიტო. იმ პერიოდის წიგნია „სამოსელი პირველიც“, მაგრამ იქ ამოკითხული ლიტერატურული სინამდვილე მართლაც ახდა, ლამაზ-ქალაქიდან გამოვედი და კამორა ვნახე, ხოლო კანუდოსი წინ არის...

— „მემფისი“ შენი პირველი რომანია, მთელი ცხოვრება წინ გაქვს და, ალბათ, კიდევ მრავალ საინტერესო წიგნს დაწერ. მაინც ჩაგეძიები — სამომავლოდ ლიტერატურის სხვა ჟანრში ხომ არ აპირებ ძალების მოსინჯვას?

— „მემფისი“ პირველი რომანია და მისი წერის პროცესი მართლაც ბნელში ხელის ცეცებასავით იყო. არ ვიცი, რა როლს ასრულებს ამ შემთხვევაში მწერლური გამოცდილება, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ წინ უფრო საინტერესო და კარგი წიგნები მელიდება. რაც შეეხება ლიტერატურის სხვა ჟანრებს, ძალიან მიყვარს პოეზია. ადრე ვწერდი ლექსებს, თუმცა, ვფიქრობ, რომ უფრო პროზაული ადამიანი ვარ და ჩემი ლექსები, სამწუხაროდ, სერიოზულად აღსაქმელები არ არიან. რაც შეეხება, ვთქვათ, დრამატურგიას, აქ ბედი არასდროს მიცდია. პიესის, მოთხრობის თუ ლექსის წერის სურვილი თავისთავად უნდა მოვიდეს და თუ მოვა, წინააღმდეგობას არ გავუწევ. მაგრამ ამ ეტაპზე მივიჩნევ, რომ საკუთარ სათქმელს ყველაზე უკეთ პროზის ჟანრში ვამბობ და გამოვხატავ.

— „მემფისმა“ წელს „საბას“ პრემია დაიმსახურა. ელოდი ამ ჯილდოს?

— დავწერე ის, რაც მე თვითონ მიხედავდა და მომწონდა და არა ის, რაც ვთქვავთ, მკითხველს, ან რომელიმე ლიტერატურული პრემიის ჟიურის წევრს (ამ შემთხვევაში, პროფესიონალ მკითხველს) მოეწონებოდა. წერის დროს მხოლოდ საკუთარი თავის სიამოვნებაზე ვფიქრობდი და მიხარია, თუ ეს „მწერლური ეგოიზმი“ მომგებანი აღმოჩნდა და ლიტერატურულ პრემიასთან ერთად, ბევრი ნამდვილი და ერთგული მკითხველი გამიჩინა. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი რომანის მხატვრულ ღირებულებებში დარწმუნებული ვიყავი, არ მიფიქრია, რომ ის აუცილებლად „საბას“ დაიმსახურებდა. დამეთანხმებით, მკითხველები სუბიექტური ადამიანები ვართ და შეიძლება, 2008 წლის საუკეთესო რომანის ავტორი სულ სხვა მწერალი გამხდარიყო. მით უფრო, რომ წელს ძალიან საინტერესო და კარგი წიგნები იყო წამოდგენილი ამ ნომინაციაში და ღირსეული კონკურენტები მყავდა.

— შენი რომანის კითხვისას მივხვდი, რომ განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვს მხატვრობასთან...

— მამა მხატვარია. ზოგჯერ თავადაც ვხატავ და ლიტერატურის შემდეგ მხატვრობა, მუსიკა და კინოხელოვნება ჩემთვის ის დარგებია, სადაც კარგი სულიერი თავმჯდომარეების მოწყობა შეიძლება. ალბათ ამიტომაც, რომ წერის პროცესსაც ხშირად ვადარებ ხატვას. მაგალითად, მიმართა, რომ ნოველა ესკიზია, მოთხრობა — სწრაფად, ერთი აფეთქებით შექმნილი ნახატი, ხოლო რომანი უფრო დიდი და მონუმენტური ტილოა, უამრავი დეტალით, ფერითა და ფორმით, ხაზით და შუქ-ჩრდილით. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა ტიპაჟს

საკუთარი სახე და ხასიათი ჰქონდეს, კომპოზიცია სრულყოფილი გამოვიდეს, ფერები — ბუნებრივი და ემოციაც — გულიდან წამოსული და ნამდვილი.

— წლების წინათ იყო მოთხრობების კრებული „იანვრის მდინარე“, შემდეგ — რომანი. დღევანდელი გადასახედიდან როგორ აფასებ პირველ კრებულს, პირველ რომანს და რის დანერგას აპირებ?

— პირველი წიგნი პირველი ცდა, პირველი ნაბიჯები იყო ლიტერატურაში. შესაბამისად, უფრო გაუბედავი, მერყევი და გაუცნობიერებელი. ჯერ კიდევ კარგად არ ვიცოდი, საით მივდიოდი და რა გამოვიდოდა იმ სიტყვებისგან, რომლებსაც ფურცელზე ვაღაგებდი. პირველივე კრებულმა წარმატება მომიტანა და ამაზე, ბუნებრივია, უფრო თავდაჯერებული გამხდა. „იანვრის მდინარე“ მართლაც ახალი, ჩქარი მდინარესავით იყო, რომელმაც, საბედნიეროდ, საკუთარი გზა და კალაპოტი იპოვა. რაც შეეხება რომანს, ის ჩემთვის სულ სხვა ეტაპზე გადასვლას ნიშნავდა. ის მოთხრობებივით სპონტანურად აღარ იწერებოდა. ამ გადასახედიდან, როგორც ავტორს, არცერთი ეს წიგნი აღარ მაკმაყოფილებს და უკეთესების დაწერა მინდა. რა თქმა უნდა, ორი წიგნი ძალიან ცოტაა დასკვნების გამოსატანად. წინ დიდი გზაა. ამ გზაზე არაერთი რთული აღმართი და ამ აღმართზე არაერთი მძიმე ლოდია ასატანი. ახლა ისევ რომანზე ვმუშაობ. ვნახოთ, რა გამოვა.

— რას ფიქრობ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესზე?



— ის, რაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ სივრცეში ხდება, ძალიან ცოტაა და უმნიშვნელო. შეიძლება ვთქვათ, რომ არაფერი ხდება. ამაში იმას არ ვგულისხმობ, რომ კარგი ავტორები არ გვყავს და კარგი ნაწარმოებები არ იწერება. პროცესში თვითონ ამ მოძრაობის, მოვლენების შესაბამისად აღქმას და გაშუქებას ვგულისხმობ. შეიძლება ამ თემაზე ძალიან ბევრს ვწუნუნებ, ლიტერატურა მასობრივი არც არასდროს ყოფილა და, ალბათ, არც უნდა იყოს, და როგორც ერთმა ჩემმა მეგობარმა თქვა, გადარჩენის გზა ახლა ინდივიდუალურ შემოქმედებაშია, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ძალიან მინდა, რომ ლიტერატურის მეტი პოპულარიზაცია ხდებოდეს, უფრო მეტი ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდეს, მეტი ლიტერატურული პრემია არსებობდეს, მეტი მკითხველი გაჩნდეს, უფრო მეტი წიგნი იწერებოდეს, ითარგმნებოდეს, გამოიცემოდეს... მწერალს საკუთარი ჰონორარი თვის რჩევა შეეძლოს, ქართულმა თანამედროვე ლიტერატურამ საკუთარი მოჯადოებული წრე გაარღვიოს, საზღვრებს გარეთ გავიდეს და, შესაბამისად, ჩვენმა ლიტერატურულმა პროცესებმაც, ბოლოს და ბოლოს, ფეხი აუწყოს დასავლურს. ჩამოწვალს აქ შევწყვეტ, რადგან მიმართა, რომ რაც ჩამოვთვალე, ამის გაკეთება თავისუფლად შეიძლება და ამ სურვილების ასრულებაც თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული.

ესაუბრა ხათუნა ალხაჯიშვილი

**ლიტერატურული კონკურსი**

**გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს პოეზიაში**

საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით (ცალკე კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა და დევიზი, ცალკე — ავტორის ვინაობა). კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ თანამშრომლებისა.

საკონკურსო მასალა, არაუმეტეს 5 გამოუქვეყნებელი ლექსისა, უნდა გამოიგზავნოს 2009 წლის 1 ოქტომბრამდე.

**დაწესებული პრემიები:**

ერთი სპეციალური პრემია — საქართველოს პირველი ლედის — სანდრა-ელისაბედ რულოვისაგან;  
 პირველი პრემია — 800 ლარი — ასპინძის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობისაგან;  
 მეორე პრემია — 500 ლარი — სსიპ-ის ახალციხის სახელმწიფო ინსტიტუტისაგან;  
 ორი მესამე პრემია — 300-300 ლარი — ახალციხის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სსიპ-ის ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯისაგან.

გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ 2009 წლის ოქტომბერში — საქართველოს პირველი ლედის სანდრა-ელისაბედ რულოვის პატრონაჟით ჩატარებულ „პოეზიის დღის“ შოთაბის“ სახალხო დღესასწაულზე.

საკონკურსოდ გამოგზავნილი ლექსები შევა კრებულში, რომლის პრეზენტაცია გაიმართება აღნიშნულ სახალხო დღესასწაულზე.

საკონკურსო მასალები უნდა გამოიგზავნოს 2009 წლის 1 ოქტომბრამდე შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის რაიონი, დ. ასპინძა, თამარის ქ.3  
 ტელ: 899 97 95 24

აკითხველი

კარლო ფაჩულია:

# „ჩემთვის მნიშვნელოვანია არ აქვს, კოვლარული მწერალია თუ ნაკლებად ცნობილი“



ცოლ-ქმარი — ბატონი კარლო ფაჩულია და ქალბატონი ნინო ზაალიშვილი მხატვრები არიან. ხატვა და წიგნები მათი ცხოვრებაა. ქართული სახვითი ხელოვნებისა და ქართული წიგნის განვითარებისთვის ორივემ ბევრი იშრომა. ბატონი კარლო მეუღლისა და საკუთარ ნამუშევრებს მათვალისწინებდა, თან ყველა: „ერთხელ ვახუშტი კოტეტიშვილი გვესტუმრა. ნამუშევრები ოთახის კედლებზე მაშინ სხვაგვარად იყო განლაგებული. მკითხა, ვისი ნახატებიაო. ვახუშტი ჭობის მეძახდა, „ბიჭო“ შებრუნებით ასე უღერს. ვუპასუხე: „ეს ჩემი ნამუშევრებია, ის კი ნინოსია“.

და მაშინვე შეთხზა: „იქით კედელზე ნინოა, აქეთ კედელზე ჭობია, ნეტავი გამაგებინა, რომელი რომელს ჯობია“... ნახატებზე, წიგნებზე და მეგობრებზე სიყვარულით საუბრობენ. უფრო ერთმანეთის შესახებ ყველაზე, საკუთარ თავზე კი — ნაკლებად, თუმცა სულ რომ არაფერი თქვან, ნახატებით დაფარული მათი ბინის კედლები, დიდი ბიბლიოთეკა, დასურათებული წიგნების უსასრულო სია, სამეცნიერო ნაშრომები თითოეულის პროფესიონალიზმისა და შინაგანი სამყაროს საუკეთესო მაჩვენებელია.

— ბატონო კარლო, თქვენს შესახებ მიაბზეთ. სად დაიბადეთ, პროფესიული საქმიანობას როგორ იწყებდით...

— ქუთაისში დაიბადე. იმ სახლში, ადრე, ზაქარია ფალიაშვილი ცხოვრობდა. ეს მახარებს და ყოველთვის აღვნიშნავ ხოლმე. ბავშვობიდან ვხატავდი. საშუალო სკოლასთან ერთად, სამხატვრო სასწავლებელიც დავემთავრე. შემდეგ, თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტის სტუდენტი ვავხდი, მე და ნინო ერთად ჩავირიცხეთ, მას შემდეგ ერთად ვართ...

— როგორც მხატვარმა, ქართული წიგნის გარეგნულ მხარეზე მუშაობა დიდი ხანია დაიწყეთ?

— გამომცემლობებთან თანამშრომლობა სტუდენტობის წლებიდან დაიწყო. გამომცემლობა „ნაკადული“ მე და ჩემს მეგობარს პოეტ გიორგი წერეთელის ლექსების კრებულის გაფორმება მოგვანდეს. ეს ჩემი „პირველი წიგნი“ იყო. მალე დასურათებული კრებული გამომცემლობაში მივიტანეთ. ავტორმა ნამუშევარს დახედა — ეს რა დაგვიხატავთ?! — გაიკვირვა. თურმე სტრიქონში — „ჭიანჭველა ჭიანჭარას ზურგზე პური ჰკიდია, პური ჭიანჭველაზე ათჯერ უფრო დიდია“... პურის მაგივრად ჭური ამოვიკითხეთ და ასეც დაგვხატეთ. გიორგი წერეთელმა ლექსი თავიდან წაიკითხა, თქვა, მგონი თქვენი ვარიანტი ჯობსო და ლექსში „პურის“ ნაცვლად „ჭური“ ჩანერა.

— ქალბატონო ნინო, თქვენ წიგნის სამყაროში ბატონი კარლოს ყოველი ნაბიჯის მომსწრე ბრძანდებით...

— სამხატვრო აკადემიაში ძალიან კარგი, საინტერესო პედაგოგები გვყავდა. მათგან ბევრი რამ შევიძინეთ. თუმცა, მხატვრისთვის საუკეთესო მასწავლებელი მაინც ცხოვრება და დიდი ლიტერატურაა. წიგნის მხატვრისთვის მწერლებთან ცოცხალი ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია, ეს ესმარება ჩანვდეს ნაწარმოების არსს, უკეთ ამოიცნოს ავტორის ჩანაფიქრი.

როგორც ხელოვნებამცოდნე, გეტყვით, კარლო ერთ-ერთია იმ ქართველ მხატვართა შორის, ვისაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართული წიგნის განვითარებასა და მისი გარეგნული სახის შექმნაში. მას დასურათებული აქვს „შუშანიკის ნამება“, XIX საუკუნის ქართული მწერლობის (ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე,



უილიამ შექსპირი „ვენეციელი ვაჭარი“

ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი) მრავალი ნიმუში, XX საუკუნეში შექმნილი პროზისა და პოეზიის ავტორთა (ნიკო ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძე, გოგლა ლეონიძე), გამოცემები და თანამედროვე ავტორთა (ოთარ ჩხეიძე, არჩილ სულაკაური, თამაზ ბიბილური, შოთა ნიშინიანიძე, რევაზ ინანიშვილი, ჭაბუა ამირჯიანი, ნოდარ დუმბაძე, რეზო ჭეიშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ნუგზარ შატაიძე, გოდერძი ჩოხელი, აკა მორჩილაძე, ვახტანგ ჯავახიძე, ჯემალ ქარჩხაძე, ვანო ჩიკვაძე და სხვები) არაერთი საუკეთესო ნაწარმოები. გაფორმებული აქვს ქართული მინიატურული გამოცემებიც. უფრო რთულია გავისხენო, რომელი ქართველი ავტორის წიგნი არ გაუფორმებია, ვიდრე — მის მიერ დასურათებული გამოცემები. მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე კარლო შეეხო სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის კლასიკური (შექსპირი, გოეთე, აბატი რევიკო, ვალტერ სკოტი და სხვა) თუ თანამედროვე მწერლობის (ჰემინგუეი, სელინჯერი, მარკესი) ნიმუშებსაც. დასურათებული აქვს ქართული და უცხოური ფოლკლორიც.

— ბატონო კარლო, სამასზე მეტი გამოცემის მხატვარი ბრძანდებით და, ალბათ, არ დარჩენილა გამომცემლობა, რომელსაც თქვენთვის, როგორც მხატვრისთვის არ მოუპოვებია.

— ვმუშაობდი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“, მერე „მერანში“ გადავედი. გარკვეული ხნის შემდეგ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მაშინდელმა რედაქტორმა, ვახტანგ ჭელიძემ მიმინვა. „ლიტერატურულ საქართველოში“ დაახლოებით ოცი წელი ვიმუშავე. ვთანამშრომლობდი სხვა გამომცემლობებთან და ჟურნალ-გაზეთებთანაც. „მერანში“ მუშაობის პერიოდში კრებულში „პოეტის ათასი სტრიქონი“ დაბეჭდილიკოლაუნადირაძის ლექსის „25 თებერვალი. 1921 წელი“ ავტორგრაფთან დაკავშირებული ისტორია თავის დროზე ფართოდ გახმაურდა. დიდი აურზაური გამოიწვია ლექსის ანტისაბჭოთა მიმართულებამ. მე, როგორც წიგნის მხატვრული რედაქტორი და კიდევ ხუთი თანამშრომელი სამსახურიდან მოგვქვედნეს. საინტერესო პერიოდში დანიწყო, როდესაც როსტომ ჩხეიძემ, ჟურნალ „ომეგას“ რედაქტორმა, შემომთავაზა ჟურნალში მუშაობა. ფართო შინაარსის, შესანიშნავად ილუსტრირებული, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი ჟურნალი იყო. საქართველოში მერეც ასეთი არ გამოდიოდა და არც ახლა გამოდის. ვთანამშრომლობდი გაზეთ „ახალ ეპოქასთანაც“. შემდეგ, გარკვეული მოვლენების და მიზეზების გამო, ორივე დაიხურა. სხვებთან ერთად მხატვრებიც დავეზარაღდით — ჟურნალი და გაზეთიც დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული მხატვრობის პოპულარიზაციას. ერთი წლის თავზე კი გამოსვლა დაიწყო ჟურნალმა — „ჩვენი მწერლობა“. დღემდე იქ ვმუშაობ.

— ჩვეულებრივ, ვინ გიკვირებთ სამუშაოს — გამომცემლობა თუ ავტორი?

— ხან ავტორი მთხოვს, ხანაც გამომცემლობა მიკვირებს. ქართველ ავტორებზე საუბარი, თორემ ჰემინგუეის ან სელინჯერს ერთხელაც არ შევეუწუხებოვარ...



— ალბათ უცხოური ლიტერატურის არაერთი ნიმუში გაგიფორმებიათ...

— ძალიან ბევრი. ჩემი სადიპლომო ნამუშევარი იყო ლითოგრაფიები პიესისათვის „ვენეციელი ვაჭარი“. ამ ნამუშევრის წყალობით მოვხვდი სსრკ სამხატვრო აკადემიის გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოში, რომელსაც სერგო ქობულაძე ხელმძღვანელობდა. საკავშირო სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსებმა უარი თქვეს დაემტკიცებინათ ჩემი თემა (შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ დასურათება). მოტივი უცნაურად უღერდა — შექსპირის ეს ნაწარმოები უკვე დასურათებული აქვს აკადემიკოს შმარინოვსო. მათი მოთხოვნა იყო — თანამედროვე სანარმოო თემებზე ნამუშევრების შექმნა. მოსკოვიდან დაბრუნებულმა სერგო ქობულაძემ მითხრა — „Èàðåí. Nàâèèè àëý í òò èàððà à-ì àððà à, à èëý í àñ ò àèñ òò èà!“

— ქალბატონო ნინო, საუბრის დასაწყისში ბრძანდით, ქართული მწერლები, რომელთა ნაწარმოებებსაც ბატონი კარლო ერთხელ მაინც გააფორმებდა, შემდგომი გამოცემების დასურათებასაც თხოვდნენო. როგორც ჩანს, გამომცემლობებისთვისაც იგი ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მხატვარი იყო და არის...

— გამომცემლობები სიამოვნებით თანამშრომლობენ მასთან. იციან მისი შესაძლებლობებიც და პასუხისმგებლობის დიდი გრძობა. ზოგიერთ მწერალთან ხანგრძლივი შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს. ხშირად, იგი ქართველ ავტორთა პირველი ინტერპრეტატორია. პირველი მხატვარი, რომელმაც ტექსტი მხატვრულ სახეებში უნდა გაიზაროს და მკითხველს შესთავაზოს. თუკი ვინმემ, ერთხელ მაინც ნახა კარლო ფაჩულიას მიერ გაფორმებული წიგნი, ის შემდგომშიც მუდამ ამოიცნობს მის ხელწერას. ამას მხოლოდ მე არ ვამბობ, სხვა ხელოვნებამცოდნეებისა და მხატვრების აზრითაც. ხატავს ტუშით, კალმით, აკვარელით. იყენებს მრავალ ტექნიკასაც. ხელწერის გამომუშავებას ხანგრძლივი შრომა სჭირდება. ეს ყველაფერი კარგად ჩანს კარლოს ნამუშევრებში, მის მიერ გაფორმებულ წიგნებში, დაზგურ სერიებში. წიგნის გაფორმებაში დიდ როლს შრიფტიც თამაშობს. კარლოს ხელნაწერი შრიფტი საინტერესო, ორიგინალური და დასამახსოვრებელია.

— ბატონო კარლო, რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ მხატვარმა ზუსტად შეძლოს ნაწარმოების არსის „გადმოცემა“?

— მხატვარმა ნაწარმოები გულდასმით და ღრმად უნდა წაიკითხოს. როცა ვკითხულობ, თან „შპარგალეებს“, ჩანახატებს ვაკეთებ. ვინიშნავ, თუ ტექსტის რომელი ადგილი შეიძლება გამოდგეს საილუსტრაციოდ. მხატვარმა უნდა გაიზაროს ეპოქა, რომელშიც ვითარდება მოთხრობილი ამბავი, შეიგრძნოს ატმოსფერო, დააფიქსიროს ანტიურაფი, დააუხსნოს კოსტიუმი, გაითვალისწინოს ისიც, თუ როდისაა შექმნილი ნაწარმოები... ყოველ სამუშაოს ერთგვარი ძიება უძღვის წინ. მნიშვნელოვანია, რომ მხატვარმა იგრძნოს ავტორის სტილი, ხელწერა, მხოლოდ ტექსტიდან ამოკითხული „ფაქტების“ დაფიქ-

სირება საკმარისი არ არის.

— თქვენს მიერ დასურათებული წიგნების თუნდაც ქართველ ავტორთა გვარებს რომ გადავხედოთ — ჩვენი მწერლობის მთელი გალერეაა. ამდენად, ქართული ლიტერატურის შესახებ თქვენი აზრი ძალიან საინტერესოა...

— მსოფლიო დონის მწერლები გვყავდა და გვყავს! არ ჩამოვთვლი, ვინმე გამომრჩება და არ მინდა. ასევე, ახალგაზრდა ავტორები — ძალიან კარგი თაობა მოდის!

— ქალბატონო ნინო, თქვენ რას გეტყვით ახალი თაობის ქართველი ავტორების შესახებ?

— არსებობს ახალგაზრდა ავტორთა ძალიან საინტერესო ჯგუფი. მათ უნდა მოუფრთხილდეთ, ხშირად გავაშუქოთ მათი შემოქმედებითი ნარმატებები, მეტად დაეუჭიროთ მხარი.

— ბატონო კარლო, მუდმივად მწერალთა საზოგადოებაში ტრიალებთ, წიგნის სამყაროში ხართ, საყვარელი ავტორებიც გეყოლებათ. ვინ არიან ისინი?

— ყველა საინტერესოა. ჩემთვის მნიშვნელოვანია არ აქვს, პოპულარული მწერალია თუ ნაკლებად ცნობილი — ყველა ნაწარმოებს ერთნაირი პასუხისმგებლობითა და გულისყურით ვუდგები.

— როგორც მხატვარს კი არა, როგორც მკითხველს გეკითხებით...

— ბევრია ასეთი. მათთან ურთიერთობა ყოველთვის მსიბუძავს და მახარებს. მასსოვს, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ რომ ვმუშაობდი, რედაქციის ფართო აივანზე ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები. მეგობრულ სუფრასთან იმართებოდა მსჯელობა ლიტერატურულ (და არამხოლოდ) საკითხებზე. ხშირი სტუმრები იყვნენ არჩილ სულაკაური, თამაზ ჩხენკელი, ბაჩანა ბრეგვაძე, თამაზ ტყემლაძე, ნუგზარ შატაიძე, დათო მალრაძე, მამუკა ფაჩუაშვილი, ანზორ სალუქვაძე, მხატვარი თენგიზ მირზაშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, ალექსი ჭინჭავაძე, ზეზუ მედუღაშვილი და სხვები. ჩვენთვის, მასპინძლებისთვის — უჩა შერაზადიშვილისთვის, ვანო ამირხანაშვილისთვის, ნინო ქაჯაიასთვის „აივანური შეხვედრები“ ნამდვილ დღესასწაულად იქცეოდა. პურობის ფაქს იქმნებოდა პოეტური იმპროვიზაციებიც. ვახუშტიმ ასეთი ლექსი მომიძღვნა: „მეგისურვებ ჩემო ჭობი, რომ სმა იყოს შენი ჰობი, გელალოს და გექიფოს, არ მოგედოს ხავსი, ობი, შენს აივანელ მეგობრებთან მუდამ სავსე გედგას გობი, იმან ქვეყნად არ იხაროს თუ ვინმეა შენი მგმობი, ჭადრაკში შენ ყოფილიყავ ჩუბჩიკას და ზეზვას მჯობი“... („ჩუბჩიკა“ — მხატვარი თენგიზ მირზაშვილი, ჩემი მუდმივი საჭადრაკო მეტოქე იყო).

— ქალბატონო ნინო, როგორც ჩანს, თქვენი მეუღლის შემოქმედებით და მეგობრულ ურთიერთობებს ქართველ მწერლებთან ასეთი პოეტური თქმები ხშირად თან ახლდა.

— ურთიერთობა სუფრასთან, განსაკუთრებით ხელოვანი ადამიანისთვის, ძალიან საინტერესოა. სუფრა ხომ მხოლოდ პურობა არ არის, არამედ ერთგვარი საშუალებაა, ადამიანებმა ერთმანეთს საკუთარი აზრი გაუზიარონ. ასეთი შეხვედრებ-

ის დროს ბევრი საინტერესო იდეა იბადებოდა. ჩვენს პირად ბიბლიოთეკაში მწერალთა ავტოგრაფებიანი, პოეტური და პროზაული ფორმით გამოხატული არაერთი, მადლიერებით სავსე სტრიქონით დამშვენებული რამდენიმე ასეული წიგნია. კარლო შემოქმედებით საქმიანობას მრავალი წელი უთავსებს მხატვრულ რედაქტორობას. ყოველი მწერლისთვის შესაფერისი ილუსტრაციის შერჩევა სათუთი სფეროა. ქალბატონად ჩხეიძის და ბატონ როსტომ ჩხეიძის ინიციატივით დაარსებული ჟურნალ „ომეგას“ გალერეა, მრავალი წლის განმავლობაში, დედაქალაქის საგამოფენო ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, მნიშვნელოვანი კულტურულ ცენტრი იყო. აქ გამართული ექსპოზიციები — „თამარ ციციშვილი — მხატვრების მუზა“, „მშვენიერი ქართველი ქალი“, „შენ საქართველოს დედოფლობა დაგმშვენებოდა“, „ბაჰუბუქ-მელიქოვის ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან“, ოთარ ჩხეიძის ერთი ნაწარმოების ინტერპრეტაციისადმი მიძღვნილი, აგრეთვე პერსონალური გამოფენები ყოველთვის გამოირჩეოდა ორიგინალური ჩანაფიქრით, თანდართული კატალოგების მაღალპოლიგრაფიული დონით. ამ ღონისძიებებში კარლო მონაწილეობდა, როგორც ექსპოზიციონერი, კატალოგების და ფლაერების მხატვარი-რედაქტორი. მეც ჩართული ვიყავი გამოფენების, ორგანიზების, კატალოგების შექმნის პროცესში.

— **ბატონო კარლო, თქვენ პერსონალურ გამოფენებშიც ხშირად მართავდით, ჯგუფურ გამოფენებშიც მონაწილეობდით. იქნებ გვიამბოთ ამის შესახებ.**

— ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ნოიებრანდერბურგში შემდგარი ექსპოზიცია, თბილისში „ძველ გალერეაში“ გამართული პერსონალური გამოფენა „ჩემი ებრაელი მეზობლები“, რომელიც საქართველოში ებრაელების დამკვიდრების ოცსაუწევან ისტორიას მიეძღვნა. ქუთაისში, იმ ქუჩაზე, სადაც ჩვენ ცხოვრობდით, ბევრი ებრაელი სახლობდა. ნამუშევრებში აღვებჭდე ჩემი ბავშვობისდროინდელი შაბეჭდილებები, კოლორიტული პერსონაჟები, დაკრძალვა. მგონი, კარგი გამოფენა გამოვიდა... გალერეა „ომეგაში“ მარტო ნიკოლორთქიფანიძის მოთხრობების მიხედვით შექმნილი ილუსტრაციები გამოფენი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მომზადებული ქალაქ ქუთაისში მოწყობილი პერსონალური გამოფენაც. სხვადასხვა დროს ჩემი ნამუშევრები წარდგენილი იყო ეროვნულ გალერეაში გამართულ მრავალ გამოფენაზე, მათ შორის „საბერძნეთი თანამედროვე ქართულ მხატვრობაში“, „ქართული სახვითი შექსპირიანა“ და სხვები; ვმონაწილეობდი პარიზში — იუნესკოს მიერ ორგანიზებულ გამოფენაში „ქართული მხატვრობა“, ამიერკავკასიის მხატვართა; ბოლონის, თეირანის საბავშვო ილუსტრაციის ბიენალეებში, 9 ქართველი გრაფიკოსის გამოფენაში მოსკოვში, ასევე, ფერმწერთა საერთაშორისო პლენერებში ქუთაისში, ილუსტრაციის საკავშირო გამოფენებში, რომლებიც მოსკოვში იმართებოდა.

— **ბატონო კარლო, არსებობს ისეთი ნაწარმოები, რომელიც არ გაგიფორმებიათ, თუმცა სურვილი დიდი გაქვთ?**

— ასეთი „ვეფხისტყაოსანია“. ძალიან ძნელია მასთან შეჭიდება. ბოლო დროს უამრავი ესკიზი შექმნილი ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“-სთვის. ეს ნაწარმოები ბევრმა ცნობილმა მხატვარმა დაასურათა. მინდა, განსხვავებული ილუსტრაციები შექმნა.

— **ქალბატონო ნინო, თქვენი საქმიანობა უფრო მრავალმხრივია, წიგნის მხატვრობის გარდა საკუთარი შესაძლებლობები სხვა მიმართულებებითაც გამოამჟღავნეთ. გვიამბეთ თქვენი პროფესიების შესახებ.**

— გრაფიკის ხელოვნებას სამხატვრო აკადემიაში დავეუფლე, ხელოვნებათმცოდნეობის განხრით სტაჟირება ლენინგრადის (პეტერბურგის) სამხატვრო აკადემიაში გავიარე. მრავალი წელი ვენეცი პედაგოგიურ საქმიანობას, მომიწია მოღვაწეობა საქართველოს მხატვართა კავშირის თანათავმჯდომარის პოსტზე (ამჟამად მხატვართა კავშირის მდივანი ვარ), ვახორციელებ საგანმანათლებლო-საგამოფენო პროექტებს. ბევრს ვემუშაობ დაზღურ გრაფიკაში. შექმნილი მაქვს ილუსტრაციები „შუშანიკის ნამებისთვის“, „სულ-

ხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების კრებული-სთვის, „სინდონე სიცრუისა“. არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავლისთვის“, ბარის „პიტერ პენისთვის“, ნემცოვას, ლინდგრენის და სხვათა საბავშვო ნაწარმოებებისთვის. ბოლოს „ქართველ მეფეთა პოეზიის“ და გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მინიატურული კრებულები გავაფორმე, ისინი მნიშვნელოვან ასოციაციამ გამოსცა. რა თქმა უნდა, საკუთარი ლიტერატურული ნაწარმოებების ილუსტრაციებსაც (საბავშვო წიგნი „ანამარიას ფერად-ფერადი ამბები“, მოთხრობები) თვითონვე ვქმნი. ბოლო დროს მთელი ჩვენი ოჯახი (კარლო, ჩემი ვაჟი ირაკლი, მე) გაიტაცა ექსლიბრისის ხელოვნებამ.

— **რამდენადაც ციცი, აქტიურ სამეცნიერო საქმიანობასაც ეწევი. როგორც ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, არაერთი საინტერესო ნაშრომის ბრძანდებით...**

— ჩემი ერთ-ერთი მთავარი თემა, კვლევის საგანი — შექსპირი და ქართველი მხატვრებია. სამასზე მეტი ქართველი მხატვარი შეეფიცა შექსპირს, შექსპირს ფერწერული და გრაფიკული ილუსტრაციები, სცენოგრაფიის ნიმუშები, მსახიობთა პორტრეტები შექსპირულ რეპერტუარში. მათ შორისაა ჩემი მეუღლე. მან „ვენეციელი ვაჭარი“ დაასურათა. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ შეძლო მსოფლიოსთვის წარედგინა ფენომენი, რომელსაც ქართული სახვითი შექსპირიანა ჰქვია. შევექმენი, ასევე, წიგნი „ვინ ვინაა. თანამედროვე ქართველი მხატვრები და ხელოვნებათმცოდნეები“, რომელშიც ათასშვიდასამდე შემოქმედის ბიოგრაფია და ფოტოსურათია წარმოდგენილი. ახლა წიგნის მეორე ვერსიას ვამზადებ, რომელშიც შევა ყველა იმ ქართველი და არა-ქართველი მხატვრის ბიოგრაფია, ვისაც საქართველოში უცხოურია, უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მხატვართა მონაცემები. კიდევ ერთი თემა, რომელიც ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, რეპრესირებული ქართველი მხატვრებია. ვარ არასამთავრობო ორგანიზაციის - ხელოვნების განვითარების ცენტრის „არტ არსის“ დამფუძნებელი, რომლის მუშაობის მთავარი მიმართულება ქართული სახვითი ხელოვნების საინფორმაციო ბაზის შექმნა, პოპულარიზაცია, კულტურათა დიპლომატიის პროცესში მონაწილეობა, საგამოფენო საქმიანობაა. ჩემს მიერ განხორციელებული ექსპოზიციებიდან მინდა აღვნიშნო „გერმანული ლიტერატურა და მუსიკა ქართველ მხატვართა შემოქმედებაში“ („ქარვასლა“), „საბერძნეთი თანამედროვე ქართულ მხატვრობაში“ (ეროვნული გალერეა), გამოფენა და სამეცნიერო კონფერენცია „ქართული სახვითი შექსპირიანა“. ვმუშაობ კატალოგების შექმნაზე, ალბომების გამოცემაზე („სპორტი და ოლიმპიზმი ქართულ მხატვრობაში“, „საქართველოს რუსი მხატვრები“ და სხვა). ვმონაწილეობდი საქართველოში და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში, ქართული და ამერიკული ხელოვნებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციებში, ქუთაისის ფერწერის საერთაშორისო პლენერებში. 90-იან წლებში, როცა არც შუქი იყო, არც გათბობა, მონაწილეობა მივიღე რადიო-პიესების კონკურსში. ჩემი ნამუშევარი 14 საუკეთესო პიესას შორის დაასახელეს, დადგა საქართველოს რადიოში (მანამდე შორეულ ბავშვობაში დაწერილი ზღაპრებისა და დალექების გარდა არავფერი შემითხზია). კონკურსში ბატონი თამაზ ჭილაძე და სხვა ცნობილი ავტორებიც იღებდნენ მონაწილეობას. პიესა, რომელშიც მოქმედება ჩვენს დროში ხდება, ექსტრემალურ ვითარებაში აღმოჩენილ ადამიანთა ურთიერთობას ეხება. მისი სათაური — „სიყვარული კონსიერჟერიში“ — საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქის იმ ცნობილი ციხის სახელს უკავშირდება, სადაც სიკვდილმისჯილი მშვენიერი ქალბატონი და ბატონები ატარებდნენ უკანასკნელ დღეებს. ჯალათებმა მათში ვერ ჩაკლეს სიყვარულის სურვილი. შემდეგ მოთხრობებიც დაწერე, რომლებიც როსტომ ჩხეიძემ გამოაქვეყნა, საბავშვო ნაწარმოებიც, რომელიც „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში“ მოიწონა, თუმცა, დღემდე მისი გამოცემა ვერ მოხერხდა და ეს ჩემი ბრალია, ვერ დავასრულე ილუსტრაციები. იმედია, მალე დავამთავრებ, წიგნს საბოლოო სახეს მივცემ და მივუძღვნი ჩემს პატარა შვილიშვილს ბარბარეს.

— **წლები მანძილზე თბილისის სამხატვრო აკადემიაში მსოფლიო ხელოვნების ისტორიის შესახებ ლექციათა კურსს უკითხავდით სტუდენტებს, ახლა აკადემიის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობთ, მთელი თქვენი ცხოვრება, საქმიანობა წიგნს უკავშირდება...**

— წიგნი იმდენად მიყვარს, რომ შეკითხვაზე: „რა პროფესიის ხარ?“, ვუპასუხებდი, მკითხველი ვარ-თქო, კომპიუტერის, ინტერნეტის გარეშე ძნელად წარმომიდგენია დღევანდელი, თუმცა წიგნს ვერაფერი შევცვლი. ჩემს საყვარელ წიგნებში ბევრია ის, რაც ეხება ადამიანების ქცევას ექსტრემალურ ვითარებაში — გერმანელი მხატვრის ჰანს გრუნდინგის „მარხვასა და კარნავალს შორის“, გრაფიკოს ანა ოსტროუმოვა-ლუბედევას მოგონებები. პირველი მათგანი გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკში გადამხდარ ამბებს ეხება, მეორე ლენინგრადის ბლოკადას. ეს წიგნები იმის მაგალითია, თუ როგორ შეუძლიათ ადამიანებს ურთულეს ვითარებაშიც კი საკუთარი ღირსების, სახის შენარჩუნება და სულიერად გადარჩენა. „მშვიდობიანი“ ლიტერატურიდან მიყვარს იან პოტოცკის „სარაგოსაში ნაპოვნი ხელნაწერი“, მიშელ მონტენის ნაწარმოებები. ძალიან მიწოდდა ნამეკითხა ფრანგული რომანი „კლემის პრინცესა“. ჩემი თხოვნით იგი თარგმნა და გამოსცა როენა ყვინიამ. ქართული ლიტერატურიდან ნიკოლორთქიფანიძის ნოველები მიყვარს. პოეზიიდან — ტერენტი გრანელი.

— **თქვენ ახალგაზრდებთან მუდმივი ურთიერთობა გაქვთ. როგორ ფიქრობთ, რამდენად ახლოს არიან ისინი წიგნთან?**

— ამბობენ, ახალგაზრდებს კითხვა არ უყვართ. ასე არ არის. ბევრმა მათგანმა ზეპირად იცის გალაკტიონი, გრანელი, ვაჟა-ფშაველას, ხალხური პოეზია, ზეპირად იციან მუხრან მაჭავარიანის და ავანგარდისტი პოეტების ლექსები. ესენინი, ცვეტაევა, ბლოკი... აკადემიაში, გასულ წლებში, სპეციალური ლიტერატურით უფრო ინტერესდებოდნენ, ბოლო დროს კი, მხატვრული პროზის მიმართ გაუღვივდათ ინტერესი. მოთხოვნის თვალსაზრისით, გურამ დოჩინაშვილის „სამოსელი პირველი“ ლიდერობს.

— **გამომცემლები კი სხვა სურათს ხედავენ, ამბობენ, მკითხველი ცოტა არის...**

— მყიდველი თუ მკითხველი? ზოგ შემთხვევაში, ამის მიზეზს ადამიანების მატერიალურ მდგომარეობაში ვხედავ. მეორე მიზეზი — ოჯახის პასიურობაა. მიხარია, რომ ახალგაზრდა მშობლები, ბებიები ბავშვებს ახლაც აქტიურად იძენენ ლამაზ წიგნებს შვილებისთვის, შევიძლება სათვის. მთავარია, ეს პროცესი შემდგომშიც გააგრძელონ, რომ ბავშვმა წიგნის არამხოლოდ დათვალიერება, კითხვაც ისწავლოს. იმატა ქართველი მხატვრების შესანიშნავად გამოცემული ალბომების რიცხვმა. მაგლობას მოვახსენებ მხატვრებს, მხატვართა ოჯახებს, გამომცემლებს, ავტორებს, რომელთა წყალობით მრავალი საუკეთესო გამოცემა ხელმისაწვდომია ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველთათვის.

— **ალბათ, არა მხოლოდ გამომცემლობებს, არამედ ბიბლიოთეკებსაც, წიგნის პოპულარიზაციის გარკვეული სტრატეგია, პროგრამა უნდა ჰქონდეთ შემუშავებული.**

— ასეცაა. ვქმნით პროექტების სერიას „კულტურათა დიპლომატი“, რომლის მიზანია ახალგაზრდების ლიტერატურით დაინტერესება და, ამავე დროს, დახმარება მათ პროფესიულ სრულყოფაში. ისრაელის სააგენტო „სოხნუტთან“ ერთად ორი კონკურსი გავმართეთ (ერთ-ერთი მიეძღვნა მარკ შაგალის იუბილეს, მეორე „ანა ფრანკის დღიურის“ დასურათებას). დავგემილი გვაქვს გამოფენა-კონკურსის ჩატარება თბილისის ავსტრიულ ბიბლიოთეკასთან ერთად. ვცდილობთ, რომ ჩვენი ბიბლიოთეკა, რომელსაც წელს 85 წელი უსრულდება, არამხოლოდ წიგნების საცავი, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყოს.

— **რამდენად დიდია განსხვავება ძველსა და თანამედროვე გამოცემებს შორის? მათ ვიზუალურ მხარეს ვვხვდებით.**

— დღეს, საქართველოში გამოცემული წიგნი ხარისხით, ვფიქრობ, არ ჩამოუვარდება უცხოურ გამოცემებს. საბჭოთა პერიოდში სტამბაში უხეირო ბეჭდვის გამო ბევ-

რი წიგნი „გაფუჭებული“.

— **ქართული თარგმანების შესახებ რას გვეტყვი?**

— შეგახსენებთ მაჩაბლის შექსპირულ თარგმანებს. გამოვეყოფ ბაჩანა ბრეგვაძის ღვაწლს ქართული თარგმანისა და ზოგადედ, ლიტერატურის განვითარებაში. სტუდენტებს, ვისაც უნდათ ეზიარონ თავანკარა ქართულს, ვურჩევ ხოლმე წაიკითხონ თამაზ ჩხენკელის და ზურაბ კიკნაძის თარგმნილი ჰომეროსის „ოდისეა“, ჯემალ აჯიამვილის ნათარგმნი ძველებრული პოეზია. იგივეს ვიტყვოდი ვახუშტი კოტეტიშვილის აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშებზე.

— **თუ გაიხსენებთ წიგნთან დაკავშირებულ საინტერესო ამბებს?**

— ბავშვობაში, „ჩემი“ ფულით დამოუკიდებლად ნაყიდი პირველი წიგნები იყო აბოვიანის „სომხეთის ჭრილობა“ და ილია ჭავჭავაძის „სახრჩობელაზე“, რომლებიც მშობლებს დაბადების დღეზე მივართვი (მახსოვს მათი გაკვირვებული სახეები). დედ-მამას უყვარდა ჩემი წიგნებით განებივრება. ვინახავ მამის (მამა არქიტექტორი იყო, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი) დანატოვარს — 20-იან წლებში დაბეჭდილ მისი საბავშვო ლექსების წიგნს ავტორისავე სახელით, რომელიც ახლა ბიბლიოგრაფიული იმპიათობაა და ბევრ სხვა წიგნს. არ მაყინყდება იმ უცნობი ახალგაზრდის მუდარით აღსავსე ხმა, დიდი ხნის ნანატრი ბოდლერის „ბოროტების ყვავილები“ შექმნის შემდეგ რუსთაველზე, ოპერის პირდაპირ მდებარე წიგნის მაღაზიიდან მაშინდელ ლენინის მოედანამდე რომ მომდევნა და წიგნის დათმობას მთხოვდა. მე კი ვერ გავიმეტე. მაქვს საყვარელი გამოცემა — ბუკინისტებში ნაყიდი ლონგფეული „სიმღერა ჰაიაგატაზე“ ელენე ახვლედიანის ნახატებით, მისივე ავტოგრაფით, ვიღაც ცუგრუმელს რომ მიუძღვნა... 90-იან წლებში, პურის დეფიციტის დროს, ერთ დღეს, ადამიანთა ზღვა რიგში ჩემს უკან დავინახე თამაზ ჩხენკელი. ისეთი ტრაგიკული შეუსაბამობა იყო მისი შინაგან სიმშვიდესა და რიგში მდგომ, ლოდინისგან გამძვინვარებულ ხალხს შორის, რომ ვერაფერი მოვიფიქრე იმის გარდა, რომ ბატონ თამაზს იმ დღეს ნაყიდი ბერძნულიდან ნათარგმნი პროკლეს წიგნი მივანოდე. რამდენიმე ხნის შემდეგ, ჩემი და კარლოს მასთან სტუმრობისას ვნახე ეს წიგნი წარწერით: „ეს წიგნი მაჩუქა ნინო ზაალიშვილმა პურის რიგში“. ასე გარდაიქმნა კუპონებზე ნაყიდი პატარა წიგნი ისტორიულ დოკუმენტად. მის თარგმნილ წიგნზე, „ინდური ლოტოსი“, რომელიც ჩვენი ოჯახის რელიქვიად იქცა, წარწერაა: „ქალბატონ ნინოს, პროკლეს ძვირფასი წიგნის საზღაურად, და კარლოს „დარახტული ცხენის“ საზღაურად, ძმური გულით — თამაზისგან“ (ბატონმა თამაზმა ჩვეული იუმორით გაიხსენა, კარლომ პური რომ აჩუქა პურის საყოველთაო დეფიციტის დროს — და რასაც ენამახვილად შეაგება სიტყვა — თითქოს დარახტული (შეკაზმული) ცხენი გეჩუქებინოს). ძალიან მიყვარს წიგნების სხვადასხვა ნუსხები, ამა თუ იმ ქვეყანაში გამოცემული საუკეთესო ნაწარმოების ჩამონათვალის შესწავლა და ჩემი თავის შემონახვა — რა დამრჩა ნაუკითხავი. რა ბედნიერებაა, რომ კიდევ ბევრი სასიამოვნო საათი მელის წინ...


ესაუბრა თამარ შურული



აკა მორჩილაძე „ყივჩალის პაემანი“

დენ ბრაუნის „დაკარგული სიმბოლო“

კარგა ხანია, საზოგადოება მოუთმენ- ლად ელოდება დენ ბრაუნის ახალ ნიგნს, რომელსაც მწერალმა „დაკარგული სიმ- ბოლო“ უწოდა. ჯერ კიდევ დაუსტამბავი ნიგნი გამოცემამდე ერთი თვით ადრე ამე- რიკული ინტერნეტ-მაღაზიის „mazon. com“-ის ბესტსელერთა სიის სათავეში აღ- მოჩნდა და მესამე ადგილი დაიკავა.



ლიტერატურათმცოდნეები აღნიშნა- ვენ, რომ დენ ბრაუნი ყველასგან მოუ- ლოდნულად არ დაადგა ტრილერების სე- რიების ოსტატების — კენ ფოლეთისა და ჯეიმს პატერსონის კვალს, რომლებიც ნე- ლინადში თითო რომანს მაინც სტამბავენ. ბრაუნი „და ვინჩის“ ტრიუმფის შემდეგ თი- თქოს გაუჩინარდა. მისი შემდეგი ნიგნი, რომლის სამუშაო სახელწოდებაც იყო „სლომონის გასაღები“ 2006 წლის ბოლოს ან 2007 წლის დასაწყისში უნდა გამოჩე- ნილიყო ნიგნის მალაზიების დახლებზე. შესაძლოა, ყველაფერზე ბრაუნის ხანგრ- ძლივმა სასამართლო პროცესმა იმოქმე- და (მწერალს პლაგიატობაში სდებდნენ ბრაუნს) ანდა ნიგნის გამოცემის შეფერხ- ების სხვა მიზეზიც არსებობდა, თუმცა ფაქტია, რომ რომანი მხოლოდ და მხო- ლოდ 2009 წლის თებერვალში დასრულდა.

გამორიცხული არ არის, რომ ბრაუნის გამომცემლები განზრახ მოიქცნენ ასე და შეგნებულად შეაფერხეს ნიგნის ბაზარზე გამოსვლა. მოსალოდნელი იყო, რომ 2007 წლის სენსაციად ჰარი პოტერზე დაწერი- ლი ნიგნი „სიკვდილის საჩუქარი“ იქნებო- და (და ასეც მოხდა. ტირაჟმა 13 მილიონს გადააჭარბა), ხოლო 2008 წლის დასაწყის- ში გამოიცა სტეფანი მაიერის საყმაწვი- ლო ვამპირული ტრილოგიის უკანასკნე- ლი ნაწილი „აისი“, რომელიც 3,7 მილიონი ტირაჟით გაიყიდა. გამომცემლობა „Ran- dom House“-მა შესაძლოა, თავიდან აიცი- ლა ამგვარ კონკურენტებთან შერკინება და „დაკარგული სიმბოლო“ სასტარტო ტირაჟიც — 6,5 მილიონი ეგზემპლარი — სწორედ ამის დასტურია. მაგარ ყდაში ჩა- სმული ნიგნის ღირებულება 29 დოლარსა და 95 ცენტს შეადგენს, მსოფლიო კრიზის- სის პირობებში კი ეს თანხა ნამდვილად ბევრს ნიშნავს.

სხვათა შორის, გამომცემლებმა გადაწ- ყვიტეს, ნიგნის დასტამბვასთან ერთად შე- ექმნათ ელექტრონული ვერსიაც. mazon- ზე მისი ღირებულება 9 დოლარი და 99 ცენტი იქნება. ზოგადად, ელექტრონული ვერსიის ინტერნეტში განთავსებას არ ჩქარ- რობენ ხოლმე, რათა ნიგნის მალაზიების- თვის მიწოდებული ტირაჟი მაქსიმალურ- ად გაიყიდოს. თუმცა, მეორეს მხრივ, პრო- გრამა Kindle-ი, რომლის საშუალებითაც გახდება შესაძლებელი ამ ელექტრონული ვერსიის ნაკითხვა, სრულფასოვნად მხ- ოლოდ აშშ-ში მცხოვრებთათვის მუშაობს.

რაც შეეხება თავად რომანს, როგორც ჩანს, ამ ნიგნზე 15 სექტემბრამდე ვერა- ფერს შევიტყობთ, თუ, რა თქმა უნდა, რო- გორც ეს „სიკვდილის საჩუქრის“ შემთხ- ვევაში მოხდა, ტექსტის ნაწილი რეცენზი- ის ემბარგოს დარღვევით, რომელიმე გავ- ლენიანი გამოცემის ფურცლებზე არ აღ- მოჩნდა ანდა ბოროტი ჰაკერები არ შეძლე- ბენ შეუძლებელს.

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ არაფრის ნაკითხვას რამის ნაკითხვა ჯო- ბია, მეორენი ამტკიცებენ, რომ დენ ბრაუ- ნის ნაწარმოებების კითხვა უგემოვნობის ნიშანია, მაგრამ რადგან მოქმედება და ამ მოქმედებით გამოწვეული ეფექტი სხვა- დასხვაა, შეგვიძლია დავუვლოთ „დაკა- რგული სიმბოლო“ აღმოჩენას.

უღიმღამო, უსარგებლო და ზედმეტად რეალისტური ლიტერატურა

„თამისი“ იტყობინება, რომ ენი ფაინი, პოპულარული ბრიტანელი საბავშვო მწე- რალი, ტიტულის — „საბავშვო ლაურე- ატი“ — ერთ-ერთი პირველი მფლობელი, თანამედროვე საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურას ინუენებს და აღნიშნავს, რომ ამ თაობისთვის დაწერილი მოთხ- რობები, ნოველები თუ რომანები ყოველად უსარგებლო, უღიმღამო და მკაცრი რეა- ლიზმითაა გაფლენილი. მისი აზრით, თა- ნამედროვეთა მიერ დაწერილ არც ერთს პროზაულ თხზულებას არა აქვს არა თუ მომავალი, არამედ მხატვრული ღირე- ბულებაც კი.

კარნეგის ორი მედლისა და უითბრე- დის პრემიის ორგზის ლაურეატმა ეს აზ- რი ედინბურგის ნიგნის ფესტივალის ფა- რგლებში მოწყობილ მრგვალ მაგიდაზე განაცხადა. მან თანამოკალმეებს მოუწო- და, კარგად გადახედონ თანამედროვე სა- ბავშვო ლიტერატურას და გააცნობიერ- იონ, რას იმიტნებენ ამა თუ იმ ნიგნებიდან ბავშვები.



ამავე მრგვალი მაგიდის კიდევ ერთმა მონაწილემ, ბრიტანეთში გავრცელებული საბავშვო და საყმაწვილო ნიგნების ავ- ტორმა მელვინ ბარჯესმა (ის ძირითადად მოზარდ ნარკომანებსა და საბავშვო სახ- ლების აღსაზრდელებზე წერს) წინააღმ- დევობა გაუწია ფაინს და აღნიშნა, რომ იმედის დასწავის უნდა იყოს არა ნიგნი, არამედ თავად მკითხველი. „ვეფირობ, კა- რგად ინფორმირებული თანამედროვე ადამიანები უკეთ გაუძლავდებიან იმ სი- რთულეებს, რომელიც მათ ცხოვრების გზაზე ელოდებათ“.

ლემონი სნიკატის ნიგნების მოლოდინი

ამერიკელი საბავშვო მწერალი დენი- ელ ჰენდლერი, რომელიც ცნობილია ფსევდონიმით ლემონი სნიკეტი, 2012 წელს გამოსცემს მორიგი ციკლის პირე- ელ ნიგნს. ახალი სერია ოთხ ნიგნს მოი- ცავს.

ამ სერიაზე თავად მწერალმა მკითხე- ელს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა: „არ შემიძლია, დავამტკიცო ან უარყო, რომ ახალი საქმის გამოძიება დაიწყო და არ შემიძლია იმის მტკიცება ან უარყო- ფა, რომ შედეგები იქნება ისეთივე საზა- რელი და საშიში, როგორც ეს „უბედური წვეულებების სერიაში“ იყო.

2006 წელს მწერალმა დაასრულა 13 ნოველისგან შემდგარი ციკლი სახელ-



წოდებით „უბედური წვეულებების სე- რია“, რომლის ტირაჟმა 60 მილიონს მი- აღწია. 2004 წელს პირველი სამი ნიგნის ეკრანიზაციამაც წარმატებით ჩაიარა. სურათს ასე ეწოდებოდა: „ლემონი სნიკე- ტის უბედური წვეულებების სერია“. ფი- ლმში მონაწილეობდნენ ჯიმ ქერი, ბილი კონოლი და მერილ სტრიპი.

გარდაიცვალა ცნობილი იტალიელი მთარგმნელი


იტალიის მწერალთა კავშირის ცნობ- ით, გარდაიცვალა ცნობილი იტალიელი მთარგმნელი ფერნანდა პივანო. 92 წლის



მთარგმნელმა და პუბლიცისტმა მილანში დალია სული. ფერნანდა პივანო იტალი- ური პროზის კლასიკოსის ჩეზარე პავეზეს მოწაფე იყო. ის შესანიშნავად იცნობდა ამერიკულ ლიტერატურას და მჭიდროდ მეგობრობდა ერნესტ ჰემინგუეისთან. 1949 წელს ჰემინგუეის რომანის „მშვიდობით, იარაღო“-ს იტალიური თარგმანი სწორედ ფერნანდას კალამს ეკუთვნის. გა- მომცემლობა „მონდადორი“ ჰემინგუეისა და სკოტ ფიცჯერალდის სრული კრებუ- ლი დასტამბა, რომლის რედაქტორიც პი- ვანო იყო. ჰემინგუეის პირველმა ბიოგრა- ფიამ ფერნანდას ლიტერატურული პრე- მია „კომისო“ მოუტანა, რომელიც ერთ- ერთი ყველაზე პრესტიჟული პრემიაა. სწორედ პივანო მოგვევლინა იტალიელი პოეტებისა და მწერლებისადმი მიძღვნი- ლი თხზულებების ავტორად. ამას გარდა, იტალიაში მას ავტობიოგრაფიული პროზის თვალსაჩინო ნარმომადგენლა- დაც მიიჩნევენ. აღსასრულამდე ორი თვით ადრე ფერნანდა პივანო კვლავ სამუშაო ფორმაში იყო. მან გამომცემლობას დასა- ტამბად მეშუარების მეორე ნაწილის ხელ- ნაწერი მიაწოდა.

ნიელ გეიმანი — „ჰიუგოს“ პრემიის მფლობელი


ნიელ გეიმანი, ავტორი ფანტასტიკური ამბებისა ბავშვზე, რომელიც სასაფლაოზე მოჩვენებებმა აღზარდეს, „ჰიუგოს“ პრემი- ის მფლობელი გახდა. ეს ჯილდო პრესტი-



ჟული ლიტერატურული პრემიაა სამეცნი- ერო ფანტასტიკის უანრში. რომანისთვის „სასაფლაოს ნიგნი“ ბრიტანელმა მწერალ- მა ნიელ გეიმანმა შარშან ნიუბერის მედა- ლი დაიმსახურა. ეს ჯილდო ახალგაზრდა თაობისთვის განსაზღვრული საუკეთესო ნაწარმოების ავტორს გადაეცემა. ნიელ გეიმანი „ჰიუგოს“ პრემიის სამგზის ლაუ- რეატია. ცნობილია, რომ 2006 წელს მას არაფერი წარუდგენია ამ ნომინაციაში. როგორც თავად აღნიშნა, მან ასპარეზი ახალბედებს დაუთმო. პრეტენდენტთა სია- ში რაც შეიძლება მეტი ახალი სახელი უნდა გამოჩნდესო, — განაცხადა „ჰიუგოს“ პრ- ემიის წლევანდელმა მფლობელმა. საუკე- თესო ნოველად ნენსი კრესის „Erdmann Nex- us!“ მიიჩნეს, ხოლო საუკეთესო ონლაინ პროზაიკოსად ჯონ სკალცი აღიარეს. „ჰი- უგოს“ პრემია რომანისათვის „ებრაელ პო- ლიცელთა საბჭო“ შარშან მაიკლ ჩაბონს გადაეცა.

მსოფლიო ლიტერატურული შედეგები


პოპულარულმა გაზეთმა „თამისი“ მო- ამზადა სია, რომელიც მსოფლიო ლიტე- რატურის 60 შედეგს მოიცავს. ეს იდეა რედაქციას მსოფლიო ლიტერატურის გახმაურებულმა მოვლენამ — ჩელტნემ- სკის ლიტერატურული ფესტივალის იუ- ბილემ უკარნახა. საუკეთესო ნიგნები ქრონოლოგიური პრინციპით შეირჩა. უკა- ნასკენელი 60 წლის განმავლობაში ჟიური ყოველი წლიდან საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს არჩევდა. სიის სათავეში ერიკ ბლეირის რომანი „1984“ მოექცა, რომელიც ჯორჯ ორუელის ფსევდონიმ- ით გამოიცა. 1955 წლის საუკეთესო ნიგ- ნად დასახელდა ნაბოკოვის „ლოლიტა“, ხოლო 1957-ში პირველობა არავის დაუთ- მო პასტერნაკის „ექიმმა ჟივგომ“. პოლდ- ინგის, ლესინგის, ფაულზის, მარკესის, უელშის, მურაკამის, კუტუზესა და ჰოსეინ- ის ნაწარმოებები, რომლებიც სხვადასხვა დროს კლასიკად იქცა, უკანასკნელი სამოცნლეულის საუკეთესო ნიგნთა სიის



მთავარი შემადგენელი ნაწილი აღმოჩნ- და. სხვათა შორის, ამ სიაში არიან: იან ფლემინგი, გრემ გრინი, ფრენკ ჰერბერტი და ჯონ როულინგი. 2009 წლის ნაწარ- მოებთაგან კი საუკეთესოდ სარა უოთ- ერსის „პატარა უცნობი“ დასახელდა.

„სირანო და ბერჟარაკის“ ავტორის პირველი პიესა ნაწარმოებია!

ლიტერატურათმცოდნე მიშელ ფური- ემ პარიზის თეატრების ცენტრთან არქი- ვის მასალები შეისწავლა და ედმონ როს- ტანის პირველ პიესას მიაკვლია. „სირანო დე ბერჟარაკის“ ავტორს 1888 წელს, მა- შინ როცა ის ჯერ კიდევ 20 წლისა იყო, თე- ატრის დირექტორისთვის ქრთამი მიუცია, რათა მისი პიესა „წითელი ხელთათმანი“ პარიზელ მაყურებელს 17-ჯერ ენახა. თუმცა, საზოგადოებამ ეს წარმოდგენა არ მიიღო და პიესამაც მარცხი განიცადა. იმდროინდელი პრესა დაუნდობელი აღ- მოჩნდა დრამატურგის მიმართ. როგორც ჩანს, ამ წარუმატებლობამ უბიძგა როს- ტანს აღნიშნული პიესის ყველა ეგზემ- პლარი გაენადგურებინა. პირველი უიღბ- ლო გამოცდილების დაიწყება აუცილე- ბელი „სირანო დე ბერჟარაკის“ წარმატე- ბისა და აღიარების შემდეგაც გახდა. იმავე თეატრის დირექტორს როსტანმა ამჯ- ერად ფული იმისთვის გადაუხადა, რომ



„წითელი ხელთათმანი“ ხელმეორედ არ დაედგათ. პიესის ერთადერთ ეგზემპ- ლარს, რომელსაც თეატრის არქივში მია- კვლიეს, 2009 წლის შემოდგომისთვის გა- მოსცემენ.

ლიტერატურული გაზეთი
გამომდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, თამარ ჟურული
ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com